საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი, 14 დეკემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **500 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **20 მანეთი**, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **20 მანეთი** მეოთხე გვერდზე **15 მანეთი**, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) **500 მანეთი.** ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება **ქრთოვის ქ. № 4**, შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—62**

№ 285 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 285

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე პელაგია, შვილები: არჩილ, ელენა, მარგალიტა, ქენია და რძალი ნინო კაშიები, სიძე ანდრო მალცოვი და შვილის შვილები: დოდო ნინა და ბორისი გამოუთქმელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ 10 დეკემბერს ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

მეთოდე გრიგოლის ძე კაშია

პანაშვიდი ყოველ დღეს საღამოს 6 ს. მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია სამშაბათს 14 დეკემბერს დილის 10 საათზე თავის ბინიდან ფეოდოსიის ქ. № 10 (3069—2—2)

ლიის სოციალ-დემოკრატიული კოლექტივი მდუღარე ცრემლით დასტირის ყაჩაღებთან შეტაკებაში ვერაგულად მოკლულის, საუკეთესო ამხანაგის მშრომელ ხალხის საქმისათვის თავგანწირულად მებრძოლის ლიის უბნის მილიციის უფროსის

ნესტორ ანტონის ძე შამუგის

ცხედარს (ფ. 1—1)

ღრმად დამწუხრებული დაი ნინო სიძე [illegible] კუბუხიძე, დისწულები: ლიუბა და ვერა ქმრებით: ათანასე ჭანტურია და ალიოშა იოსელიანით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი დაუვიწყარი მონაზონი

ევპრაქსია (ეფროსინე) ქუთათელაძის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 14 დეკემბერს მათხოჯის დედათა მონასტერში. (ფ. 1—1)

ბარბარე აბელის ასული ვასილიევი ქმრით, ნინო გრიგოლის ასული უგრელიძე შვილებით, ეფემია გრიგოლის ასული გიორგიევი და დავით გრიგოლის ძე გიორგიევი ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 11 დეკემბერს უდროვოდ გარდაიცვალა დედა პირველებისა, დისწული და დეიდაშვილი დანარჩენებისა

მარუსა გაბრამაშვილი

გამოსვენება მოხდება სამშაბათს 14 დეკემბერს დილის 9 ნახ. საათ. საკუთარი ბინიდან ოლღას ქუჩა № 39 კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავე დღეს სოფ. დიღომში წმ. მარინეს ეკლესიის გალავანში. (3979—1—1)

შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდისაგან

ის მუშის და მოსამსახურის დამქირავებლები, რომლებიც ღებულობენ მუშათა მაგიდიდან სურსათ-სანოვაგეს, ვალდებულნი არიან 15 ამა დეკემბრამდე შეიტანონ

დეპოზიტის დასაფარავად

1000 მან. თვითეულ მუშა-მოსამსახურეზე. თავის დროზე ფულის შეუტანლობა გამოიწვევს მაგიდიდან სურსათ სანოვაგის მიღების შეწყვეტას. ფული მიიღება მუშათა მაგიდის სალაროში (კირკის ქ., ამ. ცერეთ ეკონომიურ საზოგადოების შენობაში) ყოველ დღე დილის 9 საათ. შუადღის 3 საათამდე.

შრომის სამინისტროს საქმეთა მმართველი **ი. გოლდმანი.**

მუშათა მაგიდის გამგე **ვ. ფირაძე.**

(ნ. 5—4)

ვინაიდან სად. თფილისიდან საქონლის მიმღებთა მიერ სუსტად სწარმოებს დაყრითი და ჩაყრითი (ნავალოჩნი) ტვირთის გაზიდვა და ამით გამოწვეულია ვაგონების ხანგრძლივი დაკავება

სახაზინო რკინის გზების სამმართველო

ამით აფრთხილებს ზემო აღნიშნულ საქონლის მიმღებთ, როგორც საზოგადო დაწესებულებისას და ორგანიზაციებისას აგრეთვე კერძო პირთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ტვირთი მისვლის შემდეგ ერთი დღე-ღამის განმავლობაში არ იქნება

გამოტვირთული

ტვირთი დაცლილი იქნება გზების საშუალებით მიმღებთა ანგარიშზე რამდენადაც უნდა დაუჯდეს გზებს და გამოტვირთვის ვადის გასვლის შემდეგ, რაც ამჟამად დიდათ შემცირებულია. ტვირთი გაიყიდება საჯარო ვაჭრობაზე, მასთან გზები თავს უფლდება პასუხისმგებლობისაგან როგორც ტვირთის გაფუჭების აგრეთვე მისი ნაწილობრივი დაკარგვის გამო. ამავე დროს სამმართველო ღებულობს უფრო რეპრესიულ ზომებს, რომ ამით აიძულოს მიმღებნი დაუყოვნებლივ გამოტვირთონ და გაიტანონ მოსული საქონელი. (ნ. 1—1)

თფილისის სახელმწიფო
კონსერვატორია

17 დეკემბერს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება

ბეთჰოვენის

დაბადების 150 წლის თავის აღსანიშნავათ

სიმფონიური კონცერტი
დილა

კონსერვატორიის დირექტორის ნ. ნ. ჩერეპნინის
ხელმძღვანელობით.

კონცერტის დაწყების წინ სიტყვას წარმოსთქვამს

ს. მ. ჩემოდანოვი.

პროგრამაში შედის: უვერტიურა „ელეონორა" № 3, მეორე სიმფონია, მეხუთე ფორტეპიანოს კონცერტი და კონცერტი ვიოლინოსათვის, არია: „Ah perfido sperginro".

დასაწყისი სწორ 12 ნახ. საათ. დღის.

ბილეთები გაიყიდება კონსერვატორიაში.

(3965—1—1)

სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს, 14 დეკემბერს

სევილიელი დალაქი

ოთხშაბათს, 15 დეკემბერს პიკის ქალი. ხუთშაბათს, 16 დეკემბერს საბალეტო წარმოდგენა მორდკინისა კარნავალი. პარასკევს, 17 დეკემბერს სიმფონიური კონცერტი ბოროვსკის და ბელოუსოვის მონაწილეობით. დასაწყისი 8 საათზე. (ნ. 1—1)

წიგნებს მუშათა საკითხებზე (თეორეტიული, სტატისტიკური კრებული, საკანონმდებლო და სხვა) ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე

ყიდულობს შრომის სამინისტრო

(ნ. 2—1)

მეორე ქართული კლუბი

დღეს სამშაბათს

სინემატოგრაფი

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღ. (ნ. 1—1)

სახელმწიფო დრამის ოპერა

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

დღეს, 14 დეკემბერს

◆◆ მეხუთეჯერ ◆◆

1) დარისპანის გასაჭირი 2) ირინეს ბედნიერება

დეკორაციები ვალ. სიდამონ ერისთავისა. რეჟისორი აკ. ფალავა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხუთშაბათს დეკემბრის 16 ს

პირველად მხიარული კომედია

ალლუში

ბილეთები კასაში. მზადდება: „ანტიგონა", „მარიამ მაგდალინელი". (ნ. 1—1)

საქართველოს სახელმწიფო ბანკის ბალანსი

1920 წლის 1 დეკემბერს.

აქტივი (ათასობით).		პასივი (ათასობით).	
კასა და სახელდახელო ანგარიშები	558 817	ძირითადი თანხა	150.000
უცხოეთის ვალიუტა	2.4 6	სპეციალი თანხა	50.000
განაღდება თამასუქ. სავაჭრო ვალდებულ. და ვადიან ქაღალდ.	115.171	სახელდახელო ანგარიშები	692.669
სპეც. სახელდ. ანგარ. უზრუნველყოფ. თამასუქ. და სავაჭრო ვალდებულ.	6 165	ანგარიში გამგეობასთან	35.233
სესხი და სპეც. სახელდახელო ანგარ. საქონლ. და საქონლის მიერის საბუთ.	169.101	გადუხდელი გადმოგზ. ფული და გარდამავ. თანხ.	32.035
ანგარიში ხაზინებთან	56 969	სარგებელი მიღებული ოპერაციებისაგან	12.632
„ განყოფილებასთან	54.889		
„ მოწყობა მომართვისა	431		
დასაბრუნებელი თანხები	2 284		
მიმდინარე ხარჯები	6 326		
ბალანსი	972 569	**ბალანსი**	972 569

ბანკის მმართველი **იასონ ლორთქიფანიძე.**

კანონი სიმინდის მომარაგებისა

დამფუძნებელმა კრებამ 10 დეკემბრის სხდომაზე მიიღო მომარაგების სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი სიმინდის შესყიდვის შესახებ. კანონ პროექტის შინაარსი ისეთია, რომ მის წინააღმდეგ არაფერი ეთქმის არც ერთს პარტიას, რომელსაც კი გული შესტკივა ჩვენი ქვეყნის სასურსათო მოუწყობლობაზე და გაჭირვებაზე. კანონპროექტში გატარებულია უდიდესი სიფრთხილე და მზრუნველობა, რომ მასში აღნიშნული ზომებით ზიანი არ მიადგეს ჩვენი დემოკრატიის არც ერთს ნაწილს. მართლაც და რა შეიძლება ითქვას ამ ზომების წინააღმდეგ? კანონპროექტი არ გულისხმობს არც სიმინდის იძულებითს ჩამორთმევას, არც რეკვიზიციას. სამინისტროს ევალება იყიდოს გლეხკაცის მიერ გასაყიდათ განმზადებული სიმინდის მცირე ნაწილი—**არა უმეტეს ერთი მეათედისა.** სოფლის მეურნემ უნდა მიჰყიდოს მომარაგების სამინისტროს მხოლოდ ერთი მეათედი იმისი, რის გაყიდვაც მას სურს. კანონში აღნიშნულია, რომ მას ნება აქვს დაუყოვნებლივ გაჰყიდოს დანარჩენი ცხრა მეათედი. მაგრამ ეს ერთი მეათედიც ყოველს სოფლის მცხოვრებს კი არ ევალება, არამედ ყველაზე შეძლებულთ. კანონში პირდაპირ ნათქვამია, რომ ღარიბ-ღატაკნი სრულიად განთავისუფლდებიან ამ მოვალეობისაგანაც. რაც შეეხება საშუალო გლეხებს, მათ დაევალებათ მიჰყიდონ სამინისტროს მეათედზე კიდევ უფრო ნაკლები იმისდა მიხედვით, თუ რა შეძლების პატრონია იგი. სამინისტრო არ ყიდულობს სიმინდს მტკიცე ფასებში ისე, როგორც ეს მტკიცე ფასები ესმის, მაგ., საბჭოთა რუსეთის მთავრობას: რუსეთში „მტკიცე ფასები" ისე მცირეა, რომ მისი დაწესება სრულიად უსასყიდლოთ ჩამორთმევისაგან ბევრად არ განსხვავდება. ახალი კანონით სიმინდის ყიდვა ხდება ბაზრის ფასებთან შეფარდებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო გამოდის ჩვეულებრივი მყიდველის როლში. უბრალო მყიდველისაგან იგი მით განსხვავდება, რომ იგი თითონ იტოვებს, ასე ვთქვათ, პირველი მყიდველის უპირატესობას. აქ შეუძლებელია ლაპარაკი იმაზე, რომ მიწის პატრონის მეურნეობას ამ ზომით რაიმე ზიანი მიადგება. მიწის პატრონისაგან კანონი მხოლოთ იმას მოითხოვს, რომ გასასყიდათ განზრახული სიმინდის მოსავლის პირველი მეათედი სხვას არ მიჰყიდოს და სახელმწიფოსთვის შეინახოს. ფასებზე აქ სულ არ არის ლაპარაკი, მით უმეტეს დაკლებულ ფასებზე. სოფლის მეურნისაგან კანონი მოითხოვს მხოლოთ ერთს, რომ მან მოქალაქეობრივი შეგნება გამოიჩინოს და ახსოვდეს თავისი ვალი სახელმწიფოს წინაშე.

ასეთია ახალი კანონის შინაარსი. როგორც მკითხველი ხედავს, იგი არ მოითხოვს არავითარ დიდს მსხვერპლს სოფლის მცხოვრებისაგან, არავითარს საავიტაციო მასალას იგი არ იძლევა იმისათვის, ვისაც ესმის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის სიმწვავე, სასურსათო გაჭირვება და ვინც შეგნებულათ უცქერის ფრონტის დაკმაყოფილების და ჩვენი ქვეყნის გარეშე მტრისგან დაცვის საკითხს. მიუხედავათ ამისა ჩვენმა ოპოზიციამ ეს კანონი მაინც საკამათო საგნათ გადააქცია და 10 დეკემბრის სხდომაზე მმართველ პარტიას ცხარე კამათი გაუმართა ამ კანონის გამო.

ოპოზიციის იერიშები იმდენათ კანონის წინააღმდეგ არ იყო მიმართული, რამდენადაც მომარაგების სამინისტროს და პირადათ მომარაგების მინისტრის წინააღმდეგ. ჩვენ კანონს არ თანავუგრძნობთ, რადგან არ თანაუგრძნობთ მომარაგების სამინისტროს,—ასეთი იყო დამფუძნებელი კრების „მემარცხენე ფრთის" უცნაური ლოღიკა. მათ გამოლაშქრებაში იყო მომარაგების მინისტრთან პირადი ანგარიშების გასწორების სურვილი და ამ სურვილს მსხვერპლად შეეწირა საქართველოს გარეშე მტრისგან დაცვის მოსაზრება.

ჩვენი „მემარცხენე" ოპოზიცია ჯავრობს, როდესაც მას „უპასუხისმგებლოს" უწოდებენ. მისი წარმომადგენლები გვარწმუნებენ, რომ მათ ჩვენზე ნაკლებ არა აქვთ განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა. მაგრამ თავისი 10 დეკემბრის გამოსვლით მათ აშკარად დაამტკიცეს, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა მათთვის მართლაც რომ უცხო ხილი ყოფილა.

კომუნისტების აღსარება

გაზ. „კომუნისტი" იძულებული შეიქნა აღიაროს, რომ მართალია, ბოლშევიკები საქართველოში უცხოელების ფულებით მუშაობენ, მარა ამას იმით ამართლებს, რომ ეს ფულები მოძმე პარტიიდან მიღებულია. (იხ. „კომუნისტი" № 117).

„ჩვენ სრულიად არ მიგვაჩნია სათაკილოთ—სწერს გაზეთი—მატერიალური დახმარების მიღება რომელიმე თანამოძმე პროლეტარული პარტიიდან".

რომელ თანამოძმე პროლეტარულ პარტიაზეა აქ ლაპარაკი?

რუსეთის კომუნისტურ პარტიაზე, რომლის განუყრელ ნაწილს ფაქტიურათ შეადგენენ ქართველი ბოლშევიკები და რომელიც დღეს ერთად ერთი მართველი პარტიაა რუსეთში. კომუნისტური პარტია—ეს საბჭოთა რუსეთია და საბჭოთა რუსეთი—კომუნისტური პარტია.

მართალია, კომუნისტური პარტია არც ისე მრავალ რიცხოვანია რუსეთში, ის თვით კომუნისტების მოწმობით 600 ათას წევრს შეიცავს, მარა ამას არ აქვს მნიშვნელობა, კომუნისტები დიქტატურის საშუალებით ყოველ გვარი კოალიციის გარეშე მართავენ რუსეთს. აქ პარტიასა და სახელმწიფოს შორის არ არსებობს განსხვავება, მათ შორის ხაზის გავლება შეუძლებელია. პარტია სულდგმულობს სახელმწიფო აპარატით და მისი მატერიალური რესურსებით. კომუნისტური პარტია პირდაპირ სახელმწიფო ხაზინის პანსიონერია, პირველი უკანასკნელის ხარჯზე საზრდოობს, პირდაპირ თუ არა პირდაპირ მისგან იღებს დახმარებას. რუსეთის კომუნისტური პარტია სავსებით სახელმწიფოზეა დამოკიდებული. ამას თვით კომუნისტები აღიარებენ.

და აი, ჩვენ ვტყობილობთ ქართველ კომუნისტებისაგან, რომ ისინი რუსეთის ამ „მოძმე" პარტიისაგან იღებენ მატერიალურ დახმარებას. ეს იყო სწორეთ დასამტკიცებელი. ამის დადასტურებით ბოლშევიკები აღიარებენ, რომ ისინი მართლა უცხო სახელმწიფოს აგენტები არიან და არა ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი. აი, რა საშუალებით იბრძვიან ჩვენებური ბოლშევიკები!

მეორე მხრით, ეს ვაჟბატონები გვიმტკიცებენ, რომ ისინი მასიური პროლეტარული პარტიაა ჩვენში.

მასიური პარტია სხვის ხარჯზე, სხვისი ფულებით მომუშავე—სად გაგონილა ან ვის მოსწრია ასეთი პარტია!?

ეს პარტია კი არა, ეს ავანტიურაა, ეს დაქირავებული ადამიანების ბრბოა. ასეთ პარტიაში ყველა ადვილად მოიკალათებს, ყველა ავანტიურისტი, საეჭვო ღირსების ადამიანი, უსაქმო მოხეტიალე ხალხი—ყველა იპოვის საბუდარს. და ჩვენ ვხედავთ მართლა, რომ ბოლშევიკების პარტიაში მრავლათ არიან ყაჩაღები და საზოგადოების ნაძირალები. გურიაში, გორის მაზრაში და სხვაგან, სადაც ბოლშევიკებმა აქტივობა სცადეს, არა ერთი და ორი ასეთი პიროვნება მოხვდა ხელში მთავრობას. დღეს ჩვენში ყველა ყაჩაღი ბოლშევიკია და ალბათ „მოძმე პარტიის" მატერიალური დახმარების გულისთვის „სახელოვან" მესამე ინტერნაციონალის იდეებს ავრცელებს. ეს ვაჟბატონები ბოლშევიზმის სახელით ამას წინათ ანგრევდენ რკინის გზებს და უდანაშაულო ქალებსა და ბავშვებს სიცოცხლეს ასალმებდენ.

ბოლშევიზმი ჩვენში [illegible] ურიგდება.

ამიერიდან ჩვენ გვეცოდინება, რომ ქართველი ბოლშევიკები სხვისი ფულით გაჩენილი და გამაგრებული პარტიაა, რომ ისინი ძირს უთხრიან რესპუბლიკას, აწყობენ აჯანყებებს, საშუალებას ართმევენ ქართველ ხალხს მშვიდობიან ცხოვრებას მიყოს ხელი და ყოველივე ამას სჩადიან სხვისი დავალებით, სხვისი კარნახით და სხვისი ფულებით.

ეს დღეს თითონვე აღიარეს და ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენია, რომ მაგრათ მივაკრათ მათ შუბლზე მოყიდულისა და გამცემის სამარცხვინო იარლიყი. ი.

პრესა

„ჩვენი ეშინიათ"!

ამ ბოლო ხანს ბოლშევიკებს ჩვენ ერთობ დიდ ყურადღებას ვაქცევთ. „კომუნისტს" სურს ეს გარემოება სარეკლამოთ გამოიყენოს, აი, ხომ ხედავთ რა ძლიერი და გავლენიანი ვყოფილვართ, რომ ასეთ დიდ ყურადღებას გვაქცევენო. არა, ბ.ბ. კომუნისტებო, თქვენი გავლენა და სიძლიერე აქ არაფერ შუაშია. თუ თქვენზე ლაპარაკობენ და სწერენ, იმიტომ რომ, თქვენ გსურთ წითელ არმიელთა მეზობლობა და სიახლოვე საქართველოს დასანგრევათ გამოიყენოთ. აი, ეს თქვენი მოღალატური მოღვაწეობა გვაიძულებს ფხიზლათ გვეჭიროს თვალი თქვენკენ და არა თქვენი იდეური სიძლიერე და პოლიტიკური გავლენა ჩვენს ხალხზე. ამ მხრივ თქვენი ავლა დიდება ქურდულს აეკიდება. თქვენი საკუთარი სიძლიერით ვერავის დააშინებთ. ხოლო როგორც უცხო ძალის აგენტები და მისი წამქეზებელნი და ხელის შემწყობნი თქვენ მართლაც რომ საშიშარი ხართ!

გამოუსადეგარი საშუალება.

ამას წინათ „საქართველომ" გამოაქვეყნა ცნობები იმის შესახებ, თუ რა ჯდება მთავრობის წევრთა ავტომობილების შენახვა.

„კომუნისტის" დემაგოგებს მოუწადინებიათ ეს ცნობები გამოიყენონ იმის დასამტკიცებლათ, რომ ჩვენი მინისტრები ფუფუნებაში ატარებენ ცხოვრებას.

ყველამ იცის, თუ როგორია მთავრობის წევრთა ნივთიერი მდგომარეობა, რა გაჭირვებით და ვალებით ცხოვრობს თითეული მათგანი. მხოლოდ ყოველგვარ რიგიანობასა და პატიოსნებას მოკლებულ ადამიანებს შეუძლიათ ილაპარაკონ მათ განცხრომითი ცხოვრებაზე.

ავტომობილების ხარჯები მხოლო იმას ამტკიცებს, რომ დღეს მისვლა-მოსვლის საშუალება ძალიან ძვირი ჯდება. ხომ არ გვიბრძანებენ „კომუნისტის" დემაგოგები, რომ მთავრობის წევრებმა საჩქარო საქმეებზე ფეხით იარონ და მით თვით საქმე შეაფერხონ? თუ ეს სასურველი და შესაძლებელია, რატომ არ მიმართავთ საბჭოთა რუსეთის მისიას და მის აგენტებს, სადაც ვგონებთ, ავტომობილები არა ნაკლებ ხმარებაშია?

სჩანს კომუნისტების საქმე ცუდათაა, რომ ასეთ გამოუსადეგარ საშუალებას ებღაუჭებიან!

ჩვენ არ გვეხება!

ქართული და რუსული „კომუნისტი" ორივე ერთ ჰანგზე ალაპარაკდენ იმ ცნობების გამო, რომელიც გაზეთებში გამოქვეყნდა ბოლშევიკების შეთქმულობის შესახებ. მათ კარგათ შეუთვისებიათ რუსული ანდაზა: Не поймалъ—не воръ. თუმცა ისინი უკვე საკმაოთ ჩაჭერილი არიან და ამიტომაა სიცყვას განზე აგდებენ და ბრალდებაზე პირდაპირ პასუხისგებას გაურბიან.

დამტკიცებულია, რომ ლეგალური ორგანიზაციების გვერდით ბოლშევიკებს არალეგალური ორგანიზაციები აქვთ მოწყობილი.

დამტკიცებულია, რომ შეთქმულები ბოლშევიკები არიან და ინსტრუქციებსა და ფულებს მათი ორგანიზაციებიდან იღებენ.

დამტკიცებულია აგრეთვე, რომ მათი განზრახვა აჯანყების მოწყობაა და შიგნით არეულობის გამოწვევით უნდოდათ

დღეს

ჩიჩერინმა წინადადებით მიმართა სამხრეთ სლავიას, ბულგარეთის და საბერძნეთის მთავრობებს, რომ მათ არ შეიფარონ ვრანგელის ჯარები.

ლიონის ცნობით პეტროგრადის მუშათა საცენტრალო კომიტეტის არჩევნებში კომუნისტები დამარცხდნენ

შვეიცარიის სოციალისტური პარტიის კონგრესმა უარყო მესამე ინტერნაციონალთან შეერთება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება.

უკანასკნელ დროს გამოირკვა, რომ უცხოეთის ქვეშევრდომები, რომელნიც ჩვენს ტერიტორიაზე დროებით იმყოფებიან, მონაწილეობენ პოლიტიკურ პარტიებში და ელტვიან რესპუბლიკაში არსებული წყობილების დამხობას. თანახმად დამფუძნებელი კრების 1919 წ. 21 ნოემბრის დეკრეტისა ვაცხადებ, რომ გაცემულია ბრძანება ყველა ასეთ უცხოელთა რესპუბლიკის საზღვრებიდან გადასახლების შესახებ, ხოლო მათ მიერ განთავისუფლებული ბინები გადაეცემა შრომის სამინისტროსთან არსებულ საბინაო კომისიას უბინაო მუშათა შორის გასანაწილებლათ.

უცხო ძალებს მოუწოდონ, როგორც ეს ჩაიდინეს ადერბეიჯანსა და სომხეთში.

ასეთი ხალხის თავისუფლათ გაჩერება ერთ წამს არ შეიძლება. რუსეთში „ჩრეზვიჩაიკა“ არა თუ ასეთი საბუთებით, არამედ უბრალო ეჭვით და არა თუ აჯანყებისათვის, არამედ სრულიად ლეგალური ოპოზიციის გაწევისათვის ასობით და ათასობით ხვრეტს ხალხს.

ეს ძალიან მოსწონს ჩვენს ბოლშევიკებს იქ, მაგრამ აქ ისინი ყალყზე დგებიან, როცა შეთქმულებს იჭერენ და ციხეში ათავსებენ. ახლა გამოსდგარან და მართლებივით მოითხოვენ, სამართალში მისცენ ისინი. ავიწყდებათ ის, რომ „კომუნისტში“ მოკალათებულთა და მის გარშემო მომუშავეთაგან ბევრი სამართალშიც იყო სწორეთ აჯანყების მოწყობისათვის მიცემული და ამნისტიით გადარჩენ.

გარდა ამისა, მათ კარგათ იციან, რომ სასამართლოს პროცედურა დიდხანს გაჭიანურდება. მათ კი დროის მოგება სურთ. ამ ხნის განმავლობაში ბ. კომუნისტები „წაიმუშავებენ“ და ვინ იცის ეგებ ბედმა გაუღიმოთ და სადმე არეულობა გამოიწვიონ!

კომუნისტებმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა გაიგონ, რომ საქართველოს დემოკრატია არც ისეთი გულუბრყვილოა, რომ მათ ასეთ ლათაიებს აყვეს. აჯანყებას და გამცემლობას დღეს ჩვენში მხოლოთ კომუნისტები აწარმოებენ და როცა ამხილებულთ სდევნიან. ეს პირველ ყოვლისა თქვენ გეხებათ და არა სხვა ვინმეს. თქვენ ქართველ საზოგადოებას ვერ დაუმტკიცებთ იმას, თითქოს აჯანყებებს აქ ვინმე თქვენს გარეშე და თქვენდა ნებადაურთველათ აწყობდეს.

ბერების ვექილები.

„საქართველო“ და მისი გამაგრძელებელი „ივერია“ ბერების ორგანოთ გადაიქცენ. „ივერიის“ მთელი ნომერი კათალიკოზის დაცვაზეა აშენებული. სპეკულიანტების იდეოლოგებს ალბათ „სულის ცხონება“ მოუწადინებიათ, როცა ასე ერთგულათ და თავდადებით იცავენ ბერების წაგებულ საქმეს.

მართლაც და რა მოხდა?

მთავრობამ იკისრა ერის სიმდიდრისა და კუთვნილების დაცვა. ამისთვის ბერებმა ამბოხება მოაწყვეს. სხვა სახელი ვერ დაერქმევა იმას, რაც კათალიკოზმა და მისმა ლაშქარმა ჩაიდინა. მათ მოიმოქმედეს ყოველივე, რის გაკეთებაც შეეძლოთ. რეალური ძალა რომ ქონოდათ, მართლა აჯანყებას მოაწყობდენ და ანგარების გულისათვის ქვეყანას სამოქალაქო ომში გაახვევდენ. აკი კათალიკოზი მთავრობის თავმჯდომარეს საშინელი ამბებით ემუქრებოდა. მარა ჩვენდა საბედნიეროთ და მათდა სავალალოთ არც ბერებს და მათ ვექილებს ამის ძალა არ შესწევთ. ამიტომ მათი მუქარა მაყურებელზე მხოლოდ კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენს.

ბერების ვექილებს უგრძნიათ ეს და ახლა უკან იხევენ

„თუ ეხლა ჩვენი რესპუბლიკისათვის ყველაზე მეტად მშვიდობიანობაა საჭირო, მაშინ არც კათალიკოზის გაძევება იყო საჭირო კაბინეტიდან, არც ინციდენტის გამომზეურება და გაზეთების დაკეტვა, არამედ საქმის მშვიდობიანათ დაბოლოვება და ინციდენტის ლოკალიზაცია“—სწერს „ივერია“.

„ივერიის“ სიტყვით, მთავრობის თავმჯდომარის მის კაბინეტში მომხდარი დაუშვებელი ინცინდენტი საზოგადოებისთვის უნდა დაემალა, ხოლო თითონ ამ ინცინდენტს უდიდესი სენსაციის ხასიათს აძლევს და გაზეთების ფურცლებს მითი ავსებს.

არსებითად კი „ივერიის“ წინადადების შესახებ შემდეგი უნდა ვთქვათ: მოსარიგებელი და სალოკალიზაციო მთავრობას არაფერი აქვს. მთავრობამ მალე უნდა გაატაროს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გაშორება და მედიდურ ბერებს თავისი ადგილი მიუჩინოს. მონასტრების ისტორიულ სიმდიდრესთან ბერებს არაფერი ხელი აქვთ. ის ხალხს ეკუთნის და მანვე უნდა ჩაიბაროს. და თუ ვინმე ამას წინ აღუდგება, მთავრობამ იგი მაგარი ხელით უნდა შეაჩეროს.

„ივერიის“ კი სურს დაუპირდაპიროს ერთმანეთს მთავრობა და ბერები და უკანასკნელნი ცალკე მხარეთ გამოიყვანოს.

ნამდვილათ, აქ მხარე არ არის. არის ერის ქონება და მისი ხელის უფლება

„მხატვრული ნაწარმოები“

„ახ. კომუნისტი“ გოგოლის ოსიპივით გზა და გზა ბოჭავს, რაც ხელში ხვდება, —ყველაფერი გამომადგება,—ფიქრობს. გამომდევნებია ერთ კრებაზე, რომელზედაც არ ვფიქრობდი დასწრებას, შევედი ორიოდე წუთით და იმ კრების ანგარიშის მაგივრათ მოუთავსებია გრძლათ ჩემი იქ მისვლის და თავიდანვე წასვლის ამბავი. ამ ზღაპრულ ამბავში არ არის მართალი არც ერთი სიტყვა. მხატვრულ ნაწერს, რა თქმა უნდა, აქვს მოგონების უფლება, მაგრამ ასე შორს არ წასულა არც ერთი ცნობილი მხატვარი, არც ერთ ცნობილ ნაწარმოებში.

მე შევედი სახელმწიფო მოსამსახურეების საზოგადო კრებაზე, შრომის ხელშეკრულებაზე აპირებდენ მსჯელობას. აზრათაც არ მომსვლია გამგეობის წევრებთან ლაპარაკი, არავისთვის არ მიმიცია რჩევა კრება ჩავშალოთო. შევხვდი მარტო თავმჯდომარეს ქელბაქიანს,—არ ვფიქრობ, რომ ის „ახ. კომუნისტიდან“ ყოფილიყოს. ვუთხარი მხოლოდ ჩემი აზრი: გარდამავალ გამოურკვეველ პირობებში უნდა იყოს პატარა გამონაკლისი სახელმწიფო მოსამსახურეების შესახებ, არ შეიძლება, მაგალითად, ყოველი მოსამსახურის უთუოდ ბირჟისაგან მიღება. მეტი არაფერი.

აგენტები არც იარაღიანი და არც უიარაღო არ მყოლია არასოდეს, არც ამ კრებაზე მყოლია. თითონაც კარგათ იციან, რასაკვირველია, რომ არ მჭირდება ეს. კრების გახსნისას ვიღაცამ ადგილიდან დაიძახა,—გამოირკვეს კანონიერია თუ არა კრებაო. თავმჯდომარემ ამ კითხვის გადაჭრა მოინდომა თითების აწევით. მე ვუთხარი, რომ ამისთვის საჭიროა დათვლა დამსწრეების და გაგება, შეადგენენ, თუ არა ისინი უმრავლესობას კავშირის წევრებისას. ეს იყო, სხვა არაფერი.

კრებამ მიიღო წინადადება,—მივესალმოთ დამფუძნებელ კრებას და სახალხო გვარდიას, მზათ ვართ მთავრობასთან ერთად შევებრძოლოთ იმპერიალისტებს ჩვენი დამოუკიდებელი მიწა-წყლის დასაცავათო. მე ამას ტაში დავუკარი. ჩემ მეთვალყურე კომუნისტს თუ კომუნისტკას, ბ ნ, თუ ქალბატონ „კატილინას“, რომელმაც ასე შესანიშნავათ ჩაიხედა ჩემი გულის სიღრმეში და ამოიღო იქიდან, რაც მის „მხატვრულ“ ოცნებას მოეჩვენა, შეეძლო დაენახა ეს თავისივე თვალებით. ის კი სწერს, რომ ჩემ „აღშფოთებას ამის გამო აღარ ქონდა საზღვარი“.

მოხსენება ხელშეკრულების შესახებ დაიწყო თავმჯდომარემ. არ მომისმენია არც ერთი სიტყვა მისი მოხსენებისა, წავედი. „ახ. კომუნისტის“ კორესპონდენტი კი ატყობინებს თავის მკითხველებს, რომ მე ვითომ წავედი, როცა მოხსენება გათავდა, წავედი, ვითომ იმედწართმეული, როცა კრებამ მხურვალე ოვაციები გაუმართა მომხსენებელს.

ასეთია ყველგან და ყოველთვის ბოლშევიკური ინფორმაცია. ასე ქმნიან საზოგადოთ „სიმართლისგან“ სიყალბეს და სიყალბისგან „სიმართლეს“.

ამისთანა წერილიც, ალბათ, ერთ ერთი საშუალებაა გაჭირვებული მოსამსახურეების მოსასყიდავათ. ესეც ქრთამის ერთგვარი. ამ წერილის ავტორი ბ ნი თუ ქალბ-ნი „კატილინა“, შეიძლება, პირველათ შევიდა „ახ. კომუნისტის“ რედაქციაში ქრთამის მისაღებათ და თავისი „უმანკო“ სულის გასაყიდათ. ამასთანები გამოხატავენ ნებას და მისწრაფებას იმ „ჩუმა გლეხობისას“, რომელსაც ეყრდნობა ბოლშევიკური პარტია არა მარტო საქართველოში.

ხ. დივდარიანი.

დამფუძნებელი კრება

10 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

მუხლობრივი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონი არტაანის ოლქის ადმინისტრაცია-მილიციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

სიმინდის მომარაგება სამხედრო ფონდისათვის.

ვ. ცაბაძე მოხსენებას აკეთებს სამხედრო სასურსათო ფონდის გასაძლიერებლად სიმინდის შესყიდვის დეკრეტის შესახებ. ის აღნიშნავს, რომ სასურსათო კრიზისმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო და ამ კრიზისს მწვავედ განიცდის აგრეთვე საქართველოს ხალხი. სხვადასხვა მიზეზებისა გამო საზღვარგარეთიდან საკმარისი სურსათის შემოტანა შეუძლებელი ხდება. სახელმწიფოს კი ჯარი, გვარდია და მუშა მოსამსახურეთათვის ყოველ თვე სჭირდება 200 ათასი ფუთი ხორბალი. როგორც ხედავთ, მოთხოვნილება დიდია და მომარაგების სამინისტრო გაჭირვებით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. გარდა ამისა, შექმნილი რთული მდგომარეობა მოითხოვს ჩვენგან ვიყოლიოთ ფრონტი. რომ ეს ფრონტი მაგარი იყოს, საჭიროა ზურგი გამაგრებული იყოს. ზურგი კი მაშინ იქნება გამაგრებული, თუ მუშა-მოსამსახურენი პურით დაკმაყოფილებული იქნებიან. აი ეს განსაკუთრებული პირობები მოითხოვენ ჩვენგან სამხედრო-სასურსათო ფონდის შექმნას. წარმოდგენილი დეკრეტი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ეს არსებული განსაკუთრებული მდგომარეობა პირდაპირ გვკარნახებს ამ დეკრეტის მიღებას. დეკრეტის ძალით მთავრობას უფლება ეძლევა შეისყიდოს სიმინდი 15 პროცენტამდე 1920 წ. შემოსავლიდან. მტკიცე ფასებს აწესებს მთავრობა. ფასები იქნება ბაზრის ფასებთან შეფარდებული. სიმინდის შესყიდვის საქმეს პრაქტიკულად განახორციელებს მომარაგების სამინისტრო ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოების დახმარებით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ხალხი იმდენათ შეგნებულია, რომ ამ დეკრეტის შინაარსს ადვილად გაიგებს და ხელს შეუწყობს მის ცხოვრებაში გატარებას.

იგ. ლორთქიფანიძე (ს. რ.) აღნიშნავს, რომ ეს დეკრეტი პრინციპიალურად მიუღებელია, რადგანაც სიმინდის იძულებითი შესყიდვა გამოიწვევს არევდარევას და ერთი მილიონი ფუთი სიმინდის შეგროვებასაც ვერ შევსძლებთ. პრინციპიალურადაც მისაღები რომ იყოს ეს დეკრეტი, მომარაგების სამინისტროს მაინც ვერ მივანდობთ ამ საქმის მოგვარებას. ორატორი დიდხანს შეჩერდა მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობაზე და გააკრიტიკა ის.

თ. ღლონტი (ს. ფ.) წინააღმდეგია წარმოდგენილი დეკრეტის, თუმცა ის განსაკუთრებულ მომენტებში შესაძლებლად სცნობს სახელმწიფოს მიერ ხალხისადმი დახმარებისათვის მიმართვას. ორატორს შეუძლებლად მიაჩნია ამ დეკრეტის მიღება ფინანსიური მოსაზრებებითაც.

გარდა ამისა, ამბობს ორატორი, გლეხები მოგვცემენ ცუდ სიმინდს, რომელსაც მატლი გაუჩნდება და სახელმწიფოს შეუძლია იზარალოს. ამასთან ასე სწრაფად, როგორც ეს დეკრეტშია აღნიშნული, სიმინდის მოგროვება არ მოხერხდება და არ შეგროვდება მესამედი იმისა, რაც არის განზრახული.

გ. ერაძე (მომარაგების მინისტრი) აღნიშნავს, რომ მომარაგების სამინისტროს საერთო მოღვაწეობის შესახებ ის თავის დროზე გასცემს პასუხს, ამ ჟამად კი წარმოდგენილი დეკრეტის შესახებ იტყვის თავის მოსაზრებებს. აქ მინისტრი აღნიშნავს იმ სერიოზულ და ფრიად რთულ მდგომარეობას, რომელშიაც ამ ჟამად იმყოფება ჩვენი ქვეყანა და ამბობს: მე არ მგონია, რომ ასეთ პირობებში ვინმე აქ დემაგოგიით გამოვიდოდაო. და მართლაც, სად მიგვაქვს ჩვენ ეს სიმინდი? საზღვარგარეთ ხომ არ გაგვაქვს? ცხადია, არა. ამ სიმინდს გლეხებისაგან ვყიდულობთ და იგევ გლეხებს უნდა მოვახმაროთ. და განა იგივე გლეხები არ არიან მხოლოდ ფარაჯაში გახვეული, ჩვენი ჯარისკაცები? და ჩვენ ეს სიმინდი გვინდა სწორედ ამ ჯარისკაცებისათვის და გვარდიელებისათვის. სიმინდს ვყიდულობთ არა ღარიბებისა და ქვრივ ობლებისაგან, არამედ იმ ხალხისაგან, რომელსაც ამის შეძლება აქვს. ჩვენ გვინდა, რომ ხალხმა გაიგოს, რომ ჩვენ სიმინდს ვყიდულობთ არა იაფად, ჩალის ფასად, როგორც ამას რუსეთში სჩადიან, არამედ ბაზრის ფასებთან შეფარდებით. და ვინც მომხრეა ჩვენი თავდაცვისა, ვისაც უნდა, რომ ჩვენს ჯარსა და გვარდიას პური ჰქონდეს, მას არ აქვს არავითარი უფლება ამ დეკრეტის წინააღმდეგ წავიდეს. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხალხი ხელს შეუწყობს თავდაცვას და გაიღებს სიმინდს. ამის თავდებია ჩვენი ხალხის შეგნება. (ტაში).

შ. ქარუმიძე (ნაც.) მომხრეა წარმოდგენილი დეკრეტისა და აღნიშნავს, რომ ასეთ განსაკუთრებულ პირობებში ხალხი უყოყმანოდ გაიღებს შედარებით იმ მცირედ ნაწილს სიმინდისას, რომელიც დეკრეტშია აღნიშნული. ორატორი სხვათა შორის მთავრობას მიუთითებს იმ შეცდომებზე, რომელსაც, მისი აზრით, ადგილი ქონია სხვადასხვა მონოპოლიის პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარების დროს.

აკ. ჩხენკელი უპასუხებს წინა მოლაპარაკე ორატორებს და ამტკიცებს, რომ წარმოდგენილი დეკრეტი სავსებით შეეფერება დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას და მიზან-შეწონილიც არის. ორატორი აღნიშნავს, რომ ამ დეკრეტით სავსებით განთავისუფლებულნი არიან ქვრივ-ობლები და ღარიბები. ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ხალხი ამ დეკრეტის განხორციელებას ხელს შეუწყობს, მით უმეტეს, რომ ვისაც სიმინდი გასაყიდი აქვს, ნაწილს ის თავისუფლად გაჰყიდის, ნაწილს კი სახელმწიფოს მიჰყიდის.

ალ. ახათიანი (ნ. დ) პრინციპიალურად მომხრეა წარმოდგენილი დეკრეტისა, მხოლოდ სურვილს გამოსთქვამს, რომ პრაქტიკულად მშვიდობიანი გზით, პროპაგანდის საშუალებით იქნას ეს დეკრეტი განხორციელებული და არა ექსტრა-ორდინალური ზომებით.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ დეკრეტი მცირედი შესწორებებით მიღებულ იქნა.

კონსტიტუციის განხილვა

8 დეკემბრის სხდომა.

ვიქტორ თევზაიას სიტყვა

ბატონებო! ჩვენ, თავისთავად ცხადია, ვერ შევეხებით ყველა იმ დებულებას, რომელიც იყო წამოყენებული დამფუძნებელ კრების ფრაქციების პასუხისმგებელ წარმომადგენლების მიერ, იმისთვის რომ ზოგიერთი დებულება, ჩვენის აზრით, სრულიად არ ეხებოდა კონსტიტუციას, როგორც ასეთს, ის უფრო ეხებოდა შინაურ პოლიტიკას, სხვათა შორის, სოციალურ პოლიტიკას, რომელიც შეიძლება იყოს სხვა და სხვანაირი, სხვადასხვა დროს და ის სრულებით არ ეხებოდა იმ იურიდიულ საფუძველს, რომელზედაც უნდა აშენებული იქნას ჩვენი სახელმწიფო. მაგრამ ზოგიერთი დებულებები ასე თუ ისე ეხებოდა ამ საფუძველს და იმაზე შევჩერდებით. თქვენ მოისმინეთ სოციალ რევოლიუციონერთა წარმომადგენლის შენგელაიას სიტყვა, რომელიც განსაკუთრებულ სისასტიკით და განსაკუთრებულის კრიტიკით მოექცა ერთ მუხლს, რომელიც არის პირველი მუხლი ჩვენი კონსტიტუციის პროექტისა. პირველ მუხლში სწერია: „საქართველო არის თავისუფალი დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო“, და შემდეგ „მუდმივი ფორმა რესპუბლიკისა არის დემოკრატიული წყობილება.“ აი სწორედ ეს მეორე ნაწილი დებულებისა იწვევს ღრმა უკმაყოფილებას დეპუტატ შენგელაიას. იმის აზრით ეს არის ყოვლად მიუღებელი განსაკუთრებით სოციალისტისათვის. ჩვენ კი ვამბობთ: წარმოუდგენელია სოციალისტი, რომელიც ამ დებულებას არ მიიღებს. (პ. საყვარელიძე—მართალია.) ის არის ყველაფერი, ანარქო-სინდიკალისტი, ბონაპარტისტი, სხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი, შეიძლება ყველაფერი იყოს გარდა სოციალისტისა, ის, რომელიც არ მიიღებს ამ დებულებას.

ამ დებულების აზრი არის შემდეგი, მუდმივი და უცვლელი ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა, და ეს არ იცვლება კონსტიტუციური გზით. ეს არის მისი აზრი.

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ყოველ მუხლის შეცვლა, შეგიძლიათ კიდევ შეცვალოთ ლეგალურად, მხოლოდ ამ მუხლის შეცვლა არ შეგიძლიათ. ეს მუხლი მიმართული არის ორი უკიდურეს ხალხის წინააღმდეგ, რომლებიც თავის ბატონობას ამყარებენ უმცირესობაზე: ეს არის ერთის მხრით მემარჯვენე ბანაკი და მეორე მხრივ ეგრედ წოდებული უკიდურესი მემარცხენე. ისინი არ სცნობენ არც თეორეტიულად და არც პრაქტიკულად იმ დებულებას, რომ მართვა-გამგებლობა უნდა ქონდეს ხალხის უმრავლესობას.

ამას არ ღებულობს თეორეტიულად ლ. შენგელაია, ეს მისთვის მიუღებელი არის.

იქნება იყოს ისეთი საბუთი, რომელიც ამტკიცებდეს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ხელს უშლის სოციალურ გარდაქმნას, შეიძლება დემოკრატიული რესპუბლიკა არის იარაღი ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცების? მაგრამ ჩვენ ხომ არ გვაქ დაობა სოციალურ წესწყობილებაზე, ეკონომიურ წყობილებაზე. ამაზე ჩვენ არ ვკამათობთ ჩვენ ვკამათობთ სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობილებაზედ და ფორმაზე. აქ არის კამათი უფლებრივი და არა სოციალური წყობილების შესახებ.

შეიძლება იყოს დემოკრატიული რესპუბლიკა და იყვეს გაბატონებული ბურჟუაზიული სოციალური ურთიერთობა და, შეიძლება იყოს დემოკრატიული რესპუბლიკა და იყოს გაბატონებული კოლექტიური ურთიერთობა წარმოებაში. ეს არ სჯერათ მხოლოდ კომუნისტებს და ლ. შენგელაიას, ვინაიდან იგი თავისი იდეოლოგიით ამ პარტიასთან ახლო დგას, და იმის მხრივ ეს ბუნებრივი არის. იმდენად შეუთვისებია მას ეს იდეოლოგია მომქმედ უმცირესობისა, რომ იგი ამ კონსტიტუციაში ვერ ამჩნევს განსხვავებას სხვა წინანდელ კონსტიტუციებთან. მან ბრძანა, რომ წარმოდგენილი პროექტი არის ძველი ბურჟუაზიული კონსტიტუციის ხასიათის, რომლის მსგავსი ბევრი დაწერილაო. მან იცის უსათუოდ, რომ ძირითადი დებულება, რომელზედაც დგას ყველა ბურჟუაზიული კონსტიტუცია და განსაკუთრებით მათი მამამთავარი და წინამორბედი საფრანგეთის ცნობილი დეკლარაცია, არის კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა. ეს ახასიათებს ბურჟუაზიულ კონსტიტუციებს. სხვა ასეთი დამახასიათებელი თვისება არ არის. როდესაც კონსტიტუციის პროექტს სინჯავდა ბატონი შენგელაია მან არ ინება შეემჩნია 130 მუხლი, რომელიც არც ერთ ძველ კონსტიტუციაში არ არის შეტანილი, და არც შეიძლება იყვეს შეტანილი, ვინაიდან ეს მუხლი ბურჟუაზიას ინტერესებს, მის მსოფლმხედველობას, ფილოსოფიურ შეხედულებას და წესწყობილებას, სულიერ ინტერესებს ეწინააღმდეგება და ამისთვის ბურჟუაზიას არ შეუტანია თავის კონსტიტუციაში. ასეთ მუხლს ვერ ნახავთ ვერც ერთ კონსტიტუციაში.

ეს მუხლი კი ამბობს: „რესპუბლიკას შეუძლიან კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოოს ის სავაჭრო, სამრეწველო და სამეურნეო დარგი და კერძო წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია“.

თავისთავად ცხადია ეს ეხება იმას, რომ კონსტიტუცია ნებას აძლევს ერს გამოაცხადოს წარმოებათა განსაზოგადოებრივობა. არცერთი ბურჟუაზიული კონსტიტუცია ამას არ შეება. არცერთ კონსტიტუციაში არ არის შეტანილი ამგვარი მუხლი. (ხმა: ინგლისში არის გატარებული). და თუ ის ყოველი ბურჟუაზიული მოაზროვნე, ყოველი ბურჟუაზიული წრეები, რომელთაც შეგნებული აქვთ თავიანთი ინტერესები არ მოითხოვენ ამას და გაშმაგებით ებრძვიან ნაციონალიზაციას როგორც ინგლისში ისე საფრანგეთში. (ხმა: გატარებულია) არ არის გატარებული ინგლისში. ეს არ არის მართალი. ბურჟუაზიული წრეები ებრძვიან ამას და გასაზოგადოების პრინციპს იცავენ მუშათა წრეები როგორც ინგლისში ისე საფრანგეთში და სხვაგან. ეს არ არის სადაო. სადაო არის მეორე. ეგრედ წოდებული—право на труд. ყოველ სოციალისტს ალმაცერად შეუხედავს მისთვის—ის გამოცემული იყო 1848 წელს (ხმები: არა, გამოცემული იყო 1899 წელში) ეს იყო გამოცემული 1848 წელში. ეს იყო შედეგი მოთხოვნისა იმ მემარცხენე ელემენტებისა, რომელსაც წარმოადგენენ მუშები. ეს იყო ნაყოფი მუშების ზედგავლენის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. და როდესაც ის წრეები, რომლებმაც ეს დებულება აღიარებინეს ბურჟუაზიულ საზოგადოებას, დასუსტდენ, მაშინ ის მოისპო, გაირიყა და დარჩა მისი მოგონება. ეს იცოდა ბატონმა შენგელაიამ, იცოდა, რომ მე-130 მუხლი იყო საყურადღებო მუხლი, მაგრამ მას არ მიუქცევია ყურადღება მისთვის. აღნიშნა, რომ არის 129 მუხლიო და მხოლოდ იმაზე ილაპარაკა.

თუ მივიღებთ მხედველობაში რომ ლ. შენგელაიას შეიძლება აშინებდეს, რომ დემოკრატიული ფორმა წყობილებისა არის ბურჟუაზიული, მაშინ რატომ არ უწევს ანგარიშს იმას, რომ ეს მუხლი აძლევს საშუალებას ხალხის უმრავლესობას გარდაქმნას სოციალური წყობილება ისე, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე მოწინავე დემოკრატია! როდესაც ბატონი ლ. შენგელაია ეხება ძალთა განწყობილებას, მას ისე წარმოუდგენია თითქოს ეს იყოს მექანიკური რამ. მან ბრძანა: არის გლეხები, ინტელიგენცია და მცირე რიცხოვანი პროლეტარიატიო. ასე საკითხის დაყენება არ შეიძლება. ჩვენ რომ ვამბობთ მაგალითად ძალთა განწყობილებაზე მარტო რიცხვი კი არ გვაქ მხედველობაში მიღებული, ჩვენ სახეში გვაქ არა მარტო რიცხვი არამედ მისი შეგნება. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი ხალხის განწყობილება არის დემოკრატიული. მას შეგნება აქვს დემოკრატიული. ამაში არის უმთავრესი საქმე.

თქვენ რომ მე-12 საუკუნეში ყოფილიყავით და გლეხთა უმრავლესობა ყოფილიყო და მოგენდომებიათ კონსტიტუციის დაწერა, ასეთ კონსტიტუციას ვერ დაწერდით, იმიტომ რომ შეგნება არ იყო შესაფერი ამ კონსტიტუციისა.

დიახ! არის ხალხი, რომელსაც აქვს შეგნება დემოკრატიული და არის ამ ხალხში ელემენტები, რომელსაც აქვს შეგნება ანარქო-სინდიკალისტური, ეს დეკლასიური ელემენტებია, შეიძლება დამფ. კრებაშიაც იყვნენ მათი წარმომადგენელნი. არის ბურჟუაზიული წრეებიც რომელსაც აქვთ თავისი შეხედულება. მაგრამ ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა, როგორც სოციალურად ისე შეგნებით არის დემოკრატიული. მისი [illegible] იქნება დემოკრატიული.

აქ ილაპარაკეს და მოიყვანეს აურებელი ციტატა, აურებელი საბუთები, რუსულად და ქართულად—ალბად სხვა ენაზე არ გვიტყვიან—იმის დასამტკიცებლად, რომ ოდესღაც სოც.-დემოკრატიას ზოგიერთ კითხვებზედ სულ სხვა აზრი ქონდა და ახლა სხვა შეხედულება აქვსო. ეს არის სრული სიმართლე. ეს მართალი არის. ამისათვის არ იყო საჭირო ციტატების მოყვანა ეთქვა 2 სიტყვა, რომ თქვენ 1905 წელში ასეთი შეხედულება გქონდათ საერთო მდგომარეობაზეო და ახლა სხვანაირიო. მე არ მჭირია აურებელი ციტატების მოყვანა იმისათვის, რომ ვკითხო შენგელაიას, ამ სამი წლის წინად იცავდა იგი და მისი პარტია საქართველოს დამოუკიდებლობას თუ არა. ეს მე არ მჭირია ვინაიდან ის მეტყვის, რომ მე და ჩემი პარტია ამ სამი წლის წინად ვიყავით საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ახლა კი მომხრე ვართო. (ხმები: თქვენ უბრალო ავტონომიას არ მოითხოვდით) ამისათვის რა საჭირო იყო ციტატების მოყვანა და დროის დაკარგვა. ეს ბუნებრივი არის.

1905 წ. მოძრაობის დროს იყო სხვა საერთაშორისო განწყობილება. მაშინ რუსეთის მოძრაობა იყო ისეთ მდგომარეობაში, როდესაც ევროპაში გამაგრებული იყო ასე ვთქვათ რეაქცია. ახლა სხვა მდგომარეობა არის. მაშინ, 1905 წელში, რომ მომხდარიყო რევოლიუცია, ვინ იცის შეიძლებოდა თუ არა საქართველოს ხალხს მოეპოვებია დამოუკიდებლობა. ეს დიდი საკითხი არის. შეიძლება თამამათ ითქვას, რომ არ იქნებოდა მოპოვებული, თუნდაც ხალხს მოენდომებია ეს. ამიტომ შეუძლებელია შედარება ორი დიდი პერიოდისა ერთმანეთთან, რომელთა შორის განსხვავება უდიდესი არის და მსგავსება ცოტა. ამისათვის უნდა იცოდეთ, რომ ევროპაში ახლა მოწინავე დემოკრატიის გავლენა გაცილებით მეტია, ვიდრე იყო 1904 წელს. ამიტომ თავისთავათ ცხადია იმ დებულებით, რომლითაც ხელმძღვანელობდა ჩვენი დემოკრატია 1905 წელში, ვერ იხელმძღვანელებდა 1919—1920 წლებში. ადვილათ შესაძლებელია და ამას ვიტყვი აშკარათ—ამას ჩვენი ფრაქცია სავსებით იზიარებს—ჩემი ფიქრით 130 მუხლი, რომელიც არის შეტანილი აქ, შეიძლებოდა ის არ ყოფილიყო შეტანილი, რომ გამარჯვება 1905 წელში მოგვეპოვებია.

1905 წელში, რომ მომხდარიყო რევოლიუცია, ბატონი ლორთქიფანიძე ოდესაში იქნებოდა ქალაქისთავათ და დაიცავდა ფედერატიულ რესპუბლიკას. ამისათვის ვერ დავწამებთ, რომ ის არ იყო დემოკრატი. ამის შემდეგ მდგომარეობა გამოიცვალა და თუ თქვენ გამოიცვალეთ თქვენი შეხედულება არ გაქვთ უფლება სთქვათ, რომ სხვის მხრივ ბუნებრივი არ არის ასეთი გამოცვლა. ასეთი გამოსვლა არის სრულიად უსაბუთო და უნიადაგო (ხმები არ ისმის) როდესაც სიმართლეს ვლაპარაკობ მე ყოველთვის მაგრად ვლაპარაკობ, მაგრამ საუბედუროდ არის ხალხი, რომელიც მაგრად ლაპარაკობს მაშინაც, როდესაც არა-სიმართლეს ლაპარაკობს.

(დასასრული იქნება)

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

13 დეკემბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 12 დეკემბერი. ფრონტებზე სიწყნარეა.

ჩიჩერინის განცხადება.

მოსკოვი. 11 დეკემბერი საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა სლავიანთა სახელმწიფოების სამხრეთ-სლავიის ბულგარეთისა და საბერძნეთის მთავრობებს მიმართა განცხადებით, რომელშიაც იგი ამბობს, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ხალხში ყოველ დღე იზრდება სიმპატიები საბჭოთა რუსეთის მიმართ, აღნიშნულ სახელმწიფოების მთავრობები მაინც ეხმარებიან დარჩენილ ვრანგელის ბანდებს, რომლებიც კვლავ ემზადებიან საბჭოთა რუსეთზე დასაცემათ. აცხადებს რა პროტესტს აღნიშნულ მთავრობების ასეთ მოქმედების გამო საგარეო კომისარი გამოსთქვამს რწმენას, რომ ასეთი გაუგებრობანი აშორებული იქნება თუ საბჭოთა რუსეთსა და სლავიანთა სახელმწიფოების შორის ნორმალური და მუდმივი ურთიერთობა დამყარდება. ამიტომ საგარეო საქმეთა კომისარი წინადადებას აძლევს მათ შეუდგენ საზავო მოლაპარაკებას.

აღმოსავლეთის ხალხების ქალთა ყრილობა

თებერვლის 1 მოსკოვში აღმოსავლეთის ხალხების ქალთა ყრილობა გაიხსნება.

მონარქისტების შეთქმულება.

ბერლინში აღმოაჩინეს მონარქისტების დიდი შეთქმულება. შეთქმულების ცენტრებათ ითვლებიან ბუდაპეშტი და ბავარია. შეთქმულები ამზადებდენ გერმანიის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის და რუსეთის არსებულ მთავრობის ჩამოგდებას.

მუშები გერმანიიდან.

ამ დღეებში შტეტინიდან გამოდის გერმანიის ხელოსანი მუშების ერთი ჯგუფი. მუშები გაიგზავნებიან მოსკოვში, სადაც ისინი შესაფერ დანიშნულებას მიიღებენ.

ზემო სილეზიაში.

დღეს გადასცეს ინგლისის მთავრობას გერმანიის პასუხი ინგლისის წინადადებაზე ზემო-სილეზიის პლებისციტის შესახებ.

ზემო სილეზიაში გერმანულმა პარტიებმა გამოიტანეს რეზოლიუცია—კიდევ ერთხელ სთხოვონ მოკავშირეთა კომისიას, რომ მან გადაასახლოს კორფანტი, რომელიც მედგრათ აწარმოებს თავის აგიტაციას. გერმანია მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ ბოლო მოუღოს კორფანტის ქადაგებას.

სასურსათო ფონდი.

მომარაგების მინისტრმა გერმესმა რეიხსტაგში შეიტანა კანონი ხორცზე ფასის დაკლების მიზნით განსაკუთრებულ ფონდის დაარსების შესახებ.

ლიონის ცნობები

პეტროგრადში.

მუშათა საცენტრალო კომიტეტის არჩევნებში პეტროგრადში კომუნისტებმა და მათმა თანამგრძნობლებმა საერთო ხმების 28% მიიღეს, არა კომუნისტებმა კი 72%.

მესამე ინტერნაციონალი.

შვეიცარიის სოც. პარტიის კონგრესმა მე 3-მე ინტერნაციონალთან შეერთებაზე 350 ხმით წინააღმდეგ 213 ხმისა უარი განაცხადა.

ქაღალდის სიძვირის გამო.

ქაღალდის გაძვირების გამო რომის

პროვინციების გაზეთებმა შეადგინა კონსორციუმი, რომლის მიზანია ალაში და საზღვარ-გარეთ საქართო ლდის შესყიდვა.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

13 დეკემბერი.

ბაქო.

ლონდონი. „მორნინგ პოსტი" იუწყება: თურქესტანში ბოლშევიკების გამეფების შემდეგ ბამბის მოწეველობა 1914 წ. შედარებით 50% შემცირდა სულ ამ ჟამად თურქესტანში 130 000 დეს. მიწა არის დათესილი ბამბითო.

ბოლშევიკები და ქემალისტები.

კონსტანტინოპოლი. თანახმად ადგილობრივ ოფიციალურ ცნობებისა დამოკიდებულება ბოლშევიკებსა და ქემალისტებს შორის გამწვავდა. გამწვავება გამოწვეულია ქემალისტების მიერ საბჭოთა სომხეთისადმი წარდგენილ მოთხოვნილებებით. ბოლშევიკებმა შესცვალეს თავისი დამოკიდებულება ანგორის მთავრობასთან. ფიქრობენ, რომ მოსკოვის მთავრობა მიიღებს ზომებს ქემალისტების წინაამდეგ. ამ საკითხის გასარჩევად მოსკოვში გაემგზავრა სომხეთში მყოფი საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი ლეგრანი.

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის პრესს ბიუროს ბიულეტენიდან

13 დეკემბერი.

მიტინგი ალექსანდროპოლში.

ალექსანდროპოლი. 23 ნოემბ. ალექსანდროპოლში შესდგა სომხების მიტინგი, რომელზედაც გამოითქვა აღშფოთება ანტანტის იმპერიალისტებისა „დაშნაკცუტიუნის" პარტიის მათთან შეთანხმებულ პოლიტიკის წინაამდეგ. „დაშნაკცუტიუნი"-ს პარტია მიზეზი არის სომეხი ხალხის ყველა ტანჯვებისა. ორატორები ამტკიცებდენ, რომ მხოლოდ კომუნიზმი, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის ხსნას, არის სომეხი ხალხის იმედიო.

ქემალისტების სამხედრო ცნობა.

ტრაპიზონი. 3 დეკემ. დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქზილ-კსარის გზა. მტრის ზარალი ამ ფრონტზე დიდია.

სტამბული და ანგორა.

ანგორა. 23 ნოემ. გაზეთი „კნიაგზი" სწერს: „კონსტანტინეპოლში კაბინეტის შეცვლა ჩვენ სრულიადაც არ გვაინტერესებს ანატოლიამ უნდა იფიქროს მხოლოდ ნაციონალურ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის განგრძობისა და თავის ფიზიკური არსებობის შენარჩუნების შესახებ.

ოსმალეთ-სომხეთის ურთიერთობა.

მოსკოვი. 12 დეკ. (რად.) სომხეთის საგარეო საქმეთა კომისარმა ბეკზადიანმა მიჰმართა ოსმალეთის ნაციონალურ ყრილობის მთავრობას ანგორაში წინადადებით—გაუქმდეს დაშნაკების მიერ ოსმალებთან დადებული ხელშეკრულება და გამომუშავდეს ახალი ხელშეკრულება—ორივე ხალხთა ძმურ თანამშრომლობის ნიადაგზე.

სახალხო გვარდიის დღე

თფილისი.

არის ორი დიდი დღე საქართველოს დემოკრატიის ბრძოლის ისტორიაში: 26 მაისი და 12 დეკემბერი. ეს ორი დღე აღნიშნავს ორ დიდ ეტაპს ჩვენ მიერ განვლილ გზისას და ისინი ძვირფასია საქართველოს ხალხისათვის, როგორც ძვირფასია მისთვის ყველა, წარსულ ბრძოლაში გაღებული მსხვერპლი, როგორც ყველა ნათელი იმედები მომავლისა.

და სანამ იარსებებს საქართველო, მანამდის ეს დღეები იქნება მისთვის დღესასწაულის და ზეიმის დღეები.

12 დეკემბრის დღე არის პირველად ყოვლისა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა დღესასწაული, რადგანაც ამ დღეს მიიღო პირველი ბრძოლის ნათლისღება იმ პატარა მუშათა რაზმმა, რომელიც იყო ჩანასახი როგორც სახალხო გვარდიისა, ისე ჯარისა. ამ დღეს, რესპუბლიკას დემოკრატია, საქართველოს ხალხი ახდენს თავის შეიარაღებულ ძალების გასინჯვას აღნიშნავს ხოლმე გვარდიისა და ჯარის ორგანიზაციის და ნაციონალურ თავდაცვის საქმეში წარმატებებს.

და დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 12 დეკემბრის მესამე წლის თავი სიხარულით და იმედით ავსებს ჩვენს სულს და გულს.

დილიდანვე ჩვეულებრივი სადღესასწაულო ელფერი ადევს ყველაფერს: სახლები მორთული ნაციონალური და წითელი დროშებით, დაწესებულებებს ამშვენებს სახელმწიფო ღერბები და გირლიანდები, ბევრ ადგილას ფრიალებს წითელი პლაკატები წარწერით: „გაუმარჯოს სახალხო გვარდიას და ჯარს". მიუხედავათ სიცივისა, ხალხმა დილიდანვე გაავსო რუსთაველის პროსპექტი.

დილის 10 საათიდანვე იწყეს მოსვლა გვარდიისა და ჯარის ნაწილებმა, ხმიარული, ახალგაზრდა სახეები, გაბედული ნაბიჯი, მშვენიერი გაწვრთნა, კარგი შეხედულება. გვარდია და ჯარი მწკრივდებიან ქუჩის ორივე მხარეზე, დამფ. კრების შენობიდან დაწყებული ვერის დაღმართამდე. წარმოდგენილი იყო შეიარაღებული ძალის ყველა სახე. მოდიან წითელი დროშებით მუშათა რაზმები და მწკრივდებიან მუშათა სასახლიდან დამფუძნებელ კრებისაკენ. ინტერნაციონალის, სამხედრო მარშის და ნაციონალურ ჰიმნის ხმები ერთმანეთში ირევა.

გვარდიელები, ჯარისკაცები და მუშები მხურვალე ტაშის ცემით ეგებებიან სასახლისაკენ მომავალ კარლ კაუცკის.

12 საათზე სასახლეში, მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტში იკრიბებიან უცხოეთის მისიების წარმომადგენლები, მოსჩანს ანგორის წარმომადგენლის კიაზიმ-ბეის ახოვანი ფიგურა, წითელი ვარსკვლავით და ნახევარ-მთვარით შემკობილი.

პირველის ნახევარზე სასახლიდან ნ. ჟორდანიას მეთაურობით გამოდიან მთავრობისა და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრები და მიდიან გვარდიისა და ჯარის ნაწილებისაკენ.

ერთსულოვანი და ცხარე ტაშისცემით ეგებებიან ჯარისკაცები, გვარდიელები და მუშები ნ. ჟორდანიას და მის გვერდით მდგომ კ. კაუცკის.

ჯარების რიგების შემოვლის და მისალმების შემდეგ მთავრობა და შტაბი ავიდნენ ესტრადაზე დამფუძნებელი კრების სასახლის წინ. ერთი საათის განმავლობაში მათ წინ ცერემონიალურ მარშით გაიარეს გვარდიამ და ჯარმა.

პირველათ მოდის გვარდია. და ის, ვინც იცნობს ჩვენ გვარდიას მის დაარსების პირველ დღიდანვე, ვინც ადევნებდა თვალს მის ზრდასა და განვითარებას, და უყვარს იგი, მას არ შეუძლია ღრმა სიხარულის და აღტაცების გრძნობით არ უყუროს მის წინ განვლილ სწორ რიგებს, ამ სერიოზულ და ამასთანავე მხიარულ სახეებს. რა შედარებაა იმასთან, რაც იყო 3 და გინდ 2 წლის წინათ! არ არის არავითარი უთავბოლობა. ნასახიც კი არ არის თავაშვებულობისა. ეს მძლავრი სამხედრო ძალაა, მაგრამ ამავე დროს მან თავის გარეგან შეხედულებაშიც შეინარჩუნა ყოველივე ის, რაც მას ანსხვავებს და ყოველთვის განასხვავებს რეგულიარულ ჯარისაგან, რაც ძნელი გამოსახატავია სიტყვებით, მაგრამ ადვილათ შეინიშნება მაყურებლისაგან: შინაგან თავისუფლებას, და რომელსაც იგრძნობს ადამიანი სწორ სამხედრო გამართვაში.

გაატარეს ორი პატარა ზარბაზანი, შემკული წითელი არშიით. ეს 1912 წლის 12 დეკემბრის გმირები არიან. და ეს იყო მაშინ მთელი არტილერია გვარდიისა.

გვარდიას მოჰყვება ჯარის ნაწილები. აქაც დიდი, განუზომელი პროგრესია წარსულთან შედარებით. ცოტაა იმის თქმა, რომ ისინი კარგად მიდიან. მწყობრი და სწორი რიგები ახალგაზრდა და ძლიერ კარგა ჩაცმულ მებრძოლებისა, რომლებიც მტკიცე და სწორი ნაბიჯით მიდიან, თვალს ესთეთიურ სიამოვნებას აგრძნობინებენ და ძნელია ტაშის ცემისგან თავის შეკავება. და ხალხი იმათ აცილებს აღტაცებული ტაშისცემით.

პარადის მერე მუშებმა გაავსეს მთელი ქუჩა. ესტრადის წინ ზღვა ხალხი მოგაგონებს წარსული წლების მიტინგებს. სიტყვას ამბობს ამხ. ნ. ჟორდანია, რომელსაც ჩვეულებისამებრ ტაშის ცემითა ხვდებიან მას ხშირათ აწყვეტინებენ სიტყვას ტაშისცემით და „ვაშას" ძახილით. ლაპარაკობს, დამფუძნებელ კრ. თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე, რომელიც მიესალმება გვარდიას და პროლეტარიატის რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოს სახელით ბოლოს ძლიერ სიტყვას ამბობს ამხ. ვ. ჯუღელი, რომელსაც გამუდმებით აწყვეტინებენ ტაშის ცემით,

საღამოთი ყველა თეატრებში გაიმართა სადღესასწაულო წარმოდგენები სახალხო გვარდიის სასარგებლოთ. ყველა რაიონებში მოეწყო მოხსენებები გვარდიისა და მიმდინარე მომენტის შესახებ.

და მთელი ამ დღეისაგან დარჩა მხიარული დღესასწაულის და მხნე სულიერი განწყობილების შთაბეჭდილება. ეს იყო დემონსტრაცია ჩვენი ძალისა და ხალხის ღრმა რწმენისათვის მომავლისადმი.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა. ერთი საათით ადრე უნდა გამოცხადდნენ ყველა რაიონული კოლექტივების მდივნები.

◆ **დღეს** საღამოს 6 ს. ქალაქის საბჭოს დარბაზში საქ. ს. დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტი იწვევს პროფ. კავშირებში მომუშავე პარტიულ ამხანაგებს.

◆ **ანგორის წარმომადგენელი მთავრობის თავმჯდომარესთან.** დეკემბრის, 11 მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო ანგორის მთავრობის სრულ-უფლებიანი რწმუნებული პოლკოვნიკი კიაზიმ ბეი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

◆ **ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების გამგეობამ** დაადგინა: გადასცეს ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტს ჯარისა და გვარდიისათვის საჩუქრის სახით სამასი ათასი მანეთის (300 000 მან.) სხვადასხვა საქონელი. ამავე საზოგადოების გამგეობამ დაადგინა გახსნას ჯარისა და გვარდიისათვის პირველი საჭირო საქონლის მისაწოდებლად სავილე განყოფილებები.

◆ **მუშათა მაგიდის განცხადება.** მუშათა მაგიდის კონტროლიორებს არა ერთხელ შეუმჩნევიათ, რომ ჯგუფებისა და დაწესებულებათა წარმომადგენლნი ხშირათ არ აძლევენ მუშებსა და მოსამსახურეებს სრულ ულუფას და მიზეზათ ასახელებენ იმას, თითქოს მუშათა მაგიდა მხედველობაში არ იღებს სურსათსანოვაგის წონაში დაკლებასა და გამოშრობას. მუშათა მაგიდა კატეგორიულად აცხადებს, რომ იგი იღებს რა მხედველობაში პურისა და სხვა სურსათ სანოვაგის წონაში მოკლებასა და გამოშრობას, ზედმეტად იძლევა სათანადო რაოდენობის სურსათ-სანოვაგის და ამიტომ მუშებმა და მოსამსახურეებმა თავისი ულუფა სავსებით უნდა მიიღონ. მუშათა მაგიდა მოითხოვს ყველა უკანონობის შესახებ აცნობონ მას წერილობით და იგი ამ გვარ ბოროტ მოქმედებასთან საბრძოლველად სათანადო ზომებს მიიღებს.

◆ **ახალ. მარქსისტთა ორგანიზაციაში.** ახალ. მარქ. ორგანიზაციების ც. კ. აღმოსავლეთ საქართველოს პროვინციელ ორგანიზაციების საყურადღებოთ აცხადებს, რომ ც. კ. დავალებით, ც. კ. წევრი ამხ. ვ. ნუცუბიძე წაიკითხავს ჩვენს ორგანიზაციებში მოხსენებებს. მოხსენებები დანიშნულია: 1) თელავში, 16 დეკემბერს (საღამოთი) 2) სადგურ წინანდალში—18, 3) ველისციხეში—20, 4) სიღნაღში 22, 5) საგარეჯოში—24, 6) ხაშმში—26. მოხსენების თემა—„ჩვენი გზა სოციალიზმისაკენ".

მილოცვები სახალხო გვარდიას

ეკატერინოვკა. (დეპეშა). ეკატერინოფელდში მდგომი გვარდია თქვენთან ერთად დღესასწაულობს ბრძოლის დღესასწაულს. ის ბედნიერათ სთვლის თავს იმით, რომ იგი გვარდიის დღეს შეკრებულა იმ ისტორიულ ადგილზე, სადაც ორი წლის წინეთ ვერაგულათ დაგვესხა მტერი და სადაც გმირულათ დაეცა ამხანაგი სანდრო მაისურაძე და სხვანი, რომელთა ბრძოლამ იხსნა ჩვენი რესპუბლიკა და რომელთა მოგონება ყველა ჩვენგანს ჰმატებს რევოლიუციონურ ვაჟკაცობას. დეე, იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ მზათ ვართ დავსდოთ თავი ისევე გმირულათ, როგორც ამხანაგმა სანდრომ და მით უზრუნველვყოთ თავისუფლება და სამშობლო. ამხანაგური სალამი თქვენ!

თავმჯდომარე ჭუმბურიძე.

ქუთაისი. (დეპეშა) ქუთაისის პროფესიონალურ კავშირთა გამგეობის გაერთიანებული სხდომა სალამს უძღვნის ჩვენს სახელოვან გმირებს—სახალხო გვარდიელებს, ულოცავს მათ სამი წლის თავის დღესასწაულს და გამოსთქვამს რწმენას, რომ მათი თავდადებული, მედგარი ბრძოლა სამშობლოსა და თავისუფლების დაცვისათვის საშუალებას მისცემს საქართველოს მუშათა კლასს გასწიოს წინ საბოლოო მიზნების განსახორციელებლათ.

კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ტუხია.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლა ინგუშეთში. ინგუშეთში დეზერტირობამ ფართო ხასიათი მიიღო. ამ მოვლენას საკმაო ნათელს ჰფენს „ცენტროკომდეზერტირის" დადგენილება, რომელიც შემდეგს შეიცავს: თვითეულ დეზერტირისთვის პასუხს აგებს იმ სახლის პატრონი, სადაც დეზერტირები ცხოვრობს, ან სახლის კომიტეტის თავმჯდომარე და ის პირი, რომელსაც შენობა აქვს ჩაბარებული (კომენდანტი, გამგე და სხვ.). რომელიმე დაწესებულებაში მომუშავე დეზერტირისათვის პასუხს აგებს დაწესებულების უფროსი; ბირჟაში ჩაწერილ დეზერტირისათვის პასუხისმგებელია შრომის ბირჟის გამგე. დაწესებულებათა და იმ ორგანიზაციების უფროსები, რომლებიც მოქალაქეთა აღწერასა და რეგისტრაციას აწარმოებენ (მილიცია, კვარტალების კომიტეტები და სხვ.), პასუხს აგებენ დეზერტირების აღმოსაჩენათ თავის დროზე ზომების მიუღებლობისათვის. ყველა მოქალაქენი, რომლებმაც იციან, რამე დეზერტირების შესახებ და არ განაცხადებენ ამას დეზერტირობის წინააღმდეგ მებრძოლ უმაღლეს კომისიაში, დასჯილნი იქნებიან, როგორც დეზერტირების დამფარველნი, ე. ი. გადაეცემიან „რევტრიბუნალს" გასამართლებლათ. „გუბკომდეზერტირ"მა უნდა გაგზავნოს ყველგან თავისი წევრები და ადგილობრივ „კომპარტიის" წარმომადგენლები; იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილი იქნებიან დეზერტირები, „გუბკომდეზერტირ"-მა არა მარტო ესენი უნდა დასაჯოს,—მან უნდა პასუხისგებაში მისცეს ყველა თანამდებობის პირები, რომლებსაც ბრალი ედებათ დეზერტირების დაფარვაში და მათ წინააღმდეგ ზომების მიუღებლობაში. („ვ გ.")

„წითელ" სომხეთში

(გაზეთებიდან)

დაშნაკელების დევნა. სომხეთის დაშნაკელების მთავრობამ ადგილი დაუთმო დილიჯანის „რევკომს" იმ პირობით, რომ „რევკომსა" და დაშნაკების მთავრობის შორის თანამშრომლობა დამყარდებოდა. ამ მიზნითვე წავიდა დილიჟანში ჰარო და როდესაც მან დასახელებულ პირობაზე „რევკომის" თანხმობა მიიღო,—მოიწვია უკანასკნელი ერევანში.

ერევანში ჩამოსვლის შემდეგ „რევკომი" რამდენიმე ხანს კარგათ ეპყრობოდა დაშნაკელებს. მაგრამ ასეთი მოპყრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ჯერ კიდევ სომხეთში მოსვლამდე კომუნისტებს შედგენილი ჰქონდათ სია თავიანთ მტრებისა; ცოტა ხნის შეუდრობის შემდეგ კომუნისტებმა იწყეს დაშნაკელების დაპატიმრება და ამ შემთხვევაში მეტ ყურადღებას „დაშნაკცუტიუნის" ცენტრალურ კომიტეტის წევრებს აქცევდენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაშნაკელების მემარცხენე ფრთა უკვე შეუერთდა კომუნისტებს და უკანასკნელებთან ერთად ეწევა თავის ყოფილ ამხანაგების დევნას. დაიჭირეს ბევრი მემარჯვენე დაშნაკელები და, როგორც ამბობენ, ზოგი მათგანი უკვე დახვრეტილია. („გრ.")

მოწოდება რესპუბლიკის პროვინციისადმი

ჩვენის სამშობლოს ცაზე კიდევ შავი ღრუბლები გამოჩნდა: მოსალოდნელი მტრის ბნელი ძალები ჩვენსკენ ატურტურებენ ხელს: ერთი საქართველოს მიეძინოს, რომ ხელში ჩავიგდოთო.

ათასი გაჭირვება, შინ სულის გზუთავს, გარედან მოსვენებას არ გაძლევენ, დღესაც ჩვენი საუკეთესო შვილნი, ჩვენი ქვეყნის სიამაყენი: გვარდიელნი და ჯარისკაცნი ერთი მეორეს წინ უსწრებენ საზღვრის სადარაჯოზე ჩასამწკრივებლად ხმალ-ამოწვდილნი და თოფმომარჯვებულნი.

ისე იარჯებიან იმიტომ, რომ იციან რას ნიშნავს სხვათა ტყვეობა, მონური უღლის ტარება. იციან, რომ ჩვენს ქვეყანაში მტრის შემოსვლით ჩაქრება ის წმინდა კანდელი, რომელითაც ამიერკავკასიაში ძმობა ერთობისა და სიყვარულის გზას ანათებს, დაემხობა ის დროშა, რომელიც მსოფლიო ბედნიერებისაკენ მიგვიძღვით.

ეს გრძნობაა, ეს შეგნება, რომ დღეს ჩვენმა საუკეთესო მეომარ—შვილებმა არ მიხედეს შინაურ გაჭირვებას: ბევრს არც კი აცურიეა, ვერ გაულეწნია, ვერ დაუფქვავს, შეშა, ფიჩხი თუ სხვა ვერ მოუმზადებია და მაინც ბრძოლის ველისკენ გადის დარაზმული. მართალია, ჯერ ის ომში არ გასულა, მაგრამ ყოველ წუთს საფრთხის წინ სდგას. თუმცა ჩვენი ხალხური მთავრობა მას ყოველივეს აძლევს, დიდა ქალაქის მოწინავე საზოგადოებამ და დემოკრატიამაც გადასწყვიტა, რითაც შეუძლიან მეომართ დაეხმაროს, მაინც ეს არ კმარა.

და ასეთ ერთგულ მცველ მფარველს რითი ეხმარები?

გინახავს თუ არა სხვადასხვა ქვეყნის ომისაგან აყრილ აწიოკებულნი, ესენი ხომ შემოდგომის მოწყვეტილ ფოთლებს ჰგვანან, რომელნიც ხევ ხუვში იღუპებიან.

ეს რომ არ დაგვემართოს, როგორ უნდა მოიქცე?

ზურგი უნდა გაუმაგრო შენს მოწინავე მეომრებს, გული გაუკეთო.

ირემმა ირემს ბალახი გაუწოდა, არც შენ გაკლია, არც მე, მაგრამ გულის დადებაოო...

მეომარი შენს დახმარებას დიდ გულისდადებად ჩასთვლის დაათკეცებულის ძალით შეუტევს მტერს.

როგორ უნდა გაუმაგრო ზურგი?

ჩვენს დედაქალაქში უკვე შესდგა ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი. ამ კომიტეტის მიზანია ყოველის მხრით დაეხმაროს ფრონტს: ჯანი თბილათ და სღათ შეუნახოს, სული და გული დამშვიდებით შეუნარჩუნოს. კომიტეტი სექციებათ დაიყო და ყველა მინდობილ საქმის შესრულებას შეუდგა: რიგი ფულს აგროვებს, რიგი თბილ საცვლებს ჰკრებს და ამზადებს. რიგი წინდა-პაჭიჭ ხელთათმანს, წუწუმა-თამბაქო პაპიროზს, ჟურნალ-გაზეთებს, ქაღალდ-ფანქარ საპონს აგროვებს, რიგი წარმოდგენა-საღამო კონცერტების მოწყობას იწყებს, რომლის შემოსავალიც ამავე მიზანს მოხმარდება.

სწორეთ ასეთივე კომიტეტები უნდა შეადგინოთ დაბა-ქალაქ სოფლის მკვიდრნო, რესპუბლიკის ერთგულნო შვილნო, ყველგან. კომიტეტის წევრებათ შეიძლება აირჩეს ყველა, პარტიისა და მდგომარეობის განურჩევლათ, ვისაც უფრო დიდი ნდობა და პატივი აქვს, ვინც უნარიანია და მინდობილი საქმის ბეჯითი აღმასრულებელი. ამ კომიტეტებმა უნდა შეადგინონ:

1) სია ყველა იმ მეომართა ოჯახებისა, რომელთა მარჩენალნიც ომში არიან: ცნობაში მოიყვანონ ვის რა ეჭირვება;

2) სია იმ უხარო და ხარიან თუ ცხენიან მკვიდრთა, რომელთაგან ჯარობანაში არვინ გასულა;

3) შეკრებილი მასალის თანახმათ შემწეობა აღმოუჩინონ ყველა ხელ-მოკლე, ღარიბი მეომრის ოჯახს, ვისაც რა უფრო დასჭირდება: ზოგს ურმით შეშა ფიჩხი მიუტანონ, ზოგს დაუფქვვიონ, ზოგს მუშა-ხელი დაახმარონ, განსაკუთრებით იმათის მხრით, ვინც ჯარობანას ასცდა და სხ. ერთი სიტყვით კომიტეტები გარეშე მთავრობის დახმარებისა, ყველა მეომრის ოჯახისათვის ნამდვილი მზრუნველი უნდა იყოს მთელი ამ ჯარობანის დროს სახლში დაბრუნებამდე.

შენიშვნა: ყველა ზემოხსენებულ საქმიანობის შესახებ ნუსხა მთავარ კომიტეტს უნდა ეცნობოს ყოველ კვირა, რათა ცნობაში იყოს მოყვანილი საყოველთაოთ, თუ ვინ როგორ ეხმარება ფრონტს.

4) კომიტეტმა ჯარისკაცთა და გვარდიელთა საჩუქრებისათვის უნდა შეკრიბონ ყოველგვარი თავისუფალი შემოწირულება, რაიც უნდა გადაგზავნოს ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის სახელზე (თფილისი, სასახლე) წერილობით გასანაწილებლათ.

ყოველმა კომიტეტმა მუდმივი კავშირი უნდა იქონიოს მთავარ კომიტეტთან.

ასეთი მუშაობით უდიდეს საქმეს გავაკეთებთ: ერთის მხრით რომ ჩვენს მეომრებს აღვაფრთოვანებთ, მეორეს მხრით მტერი ჩვენის მხედრობის უკან მაგარ ზურგს რომ დაინახავს, გზას აგვიქცევს.

რაც უფრო ერთსულოვნად ავამუშავებთ ჩვენს ძალღონეს, სიცოცხლეს, ქონებას, სარჩო-საბადეს არ დაზოგავთ, რაც უფრო ერთი ყველასათვის ყველა ერთისათვის თავს გამოვიდებთ, მით უფრო ჩქარა ვსძლევთ საფრთხეს და ბრძოლის ველზე გასული ჩვენი გმირები უომარ-უსისხლოთ გამარჯვებულნი თავის სახლ კარში მშვიდობით დაბრუნდებიან.

არც ერთი წუთი არ დავკარგოთ და საქმეს დროით შევუდგეთ. დაამტკიცეთ, რომ თქვენ სამშობლო გიყვართ და მის ერთ ნაბიჯსაც არავის შეელახვინებთ, ხოლო ჩვენს საყვარელ მეომრებს თავს ფრთხილათ შემოეხვევით...

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის საპროვინციო სექცია.

გვარდიელის მოგონება

(ახლო წარსულის ფურცლებიდან).

ჩვენ ვდღესასწაულობთ 12 დეკემბერს, როგორც საქართველოს სახალხო გვარდიის დაბადებას, მისი და მთელი დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვების დღეს. სამი წელიწადია მას შემდეგ, რაც ჩვენი ისტორიის ფურცლებზე სისხლით იწერება გმირულ და თავდავიწყებულ მებრძოლთა საქმენი. სამი წელი—ეს ერთის შეხედვით საგრძნობლად მცირე დროა ისტორიისთვის... მაგრამ ისტორიას არ ახსოვს ისეთი მრავალ ფეროვანი სახეები და მოვლენათა წარმოუდგენელი სისწრაფე, რის მოწამენი ჩვენ ამ სამი წლის განმავლობაში ვიყავით. თუ რამდენი განცდებით, საშინელი სისხლიანი წუთებით და ტანჯვა-წვალებით იყო აღსავსე ეს სამი წელი,—ეს თავის გულწრფელ მესვეურებთან ერთად მხოლოდ სახალხო გვარდიამ უწყის.

ეს ჩემი მოგონება მხოლოდ პატარა უმნიშვნელო ნაპერწკალია გვარდიელთა ბრძოლის ისტორიიდან... ეს ჩვენს ახლო წარსულს შეეხება; ადერბეიჯანთან ომის დროს...

მაშინ (1920 წ. 10 მაისს) ჩვენი გვარდიის ერთ-ერთმა ბათალიონმა მიიღო თავისი პირველი ომის „ნათლისღება"...

ამ დღესვე დაიწყო ადერბეიჯანის ფრონტზე ჩვენმა ჯარმა ფართო შეტევა... ჩვენ ცოტანი ვიყავით; საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჯერ ვერ მოესწროთ გვარდიის სხვა ნაწილებს ჩამოსვლა. რიცხვით მეტი და ომისათვის საჭირო გაცილებით უკეთესი ტეხნიკური პირობებით უზრუნველყოფილ მტერთან გვიხდებოდა ბრძოლა.

მთელი ღამე არ გვეძინა; ფხიზლათ ვიყავით. დილის რიჟრაჟზე დაიზუზუნა ტყვიებმა მტრის პოზიციებიდან. ვუპასუხეთ, მაგრამ ვერ შევრიგებოდით ამ ჟრუანტელის მომგვრელ ხმას. ეს-ეს იყო სამი დღის უკან თითეული ჩვენთაგანი თავ-თავის საყვარელ კუთხეებში მშვიდობიან და წმინდა შრომას ეწეოდა ძვირფას ამხანაგებთან, დედმამასთან, ცოლშვილთან... და დღეს კი უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ შესაძლებელია ბევრი ჩვენთაგანისათვის უკანასკნელი იყოს ეს დღე.

მიუხედავად ამისა, ყველას რაღაც განსაკუთრებულად უციმციმებს თვალები, ყველა ოხუნჯობს. ერთნი გამალებით თოფებს წმენდავენ, მეორენი უთვალთვალებენ მტრის პოზიციებს და თითით ერთმანეთს უჩვენებენ მტრის მოძრაობას, ზოგი არხეინად პურს შეექცევა.

აღტაცებაში მოვდივარ ამხანაგების ასეთი სულიერი განწყობილებით, მაგრამ ამასთან სიბრალულით გული მევსება და ვფიქრობ: რისთვის უნდა დაიქცეს ამ სიცოცხლით აღსავსე ძვირფასი ადამიანების სისხლი?! ნუ თუ მარტო იმისთვის, რომ ვიღაცაებს მოუსურვებიათ ჩვენი ქვეყნის აოხრება განადგურება?! და მერე როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს ტანჯვა ვაება, როდემდის!.

თვალს ვავლებ მტრის თხრილებს. მოხერხებული ადგილი უჭირავთ. ჩვენი მოწინავე პოზიციების ხაზი მოშორებულია ს. მუღანლოდან 4—5 ვერსის მანძილით. მარჯვნივ ისმის მდინარე ხრამის თქრიალი. მარცხნივ ჭალა ადგილია, ამის იქით მდ. მტკვარი, შემდეგ ტყე. პირდაპირ მოსჩანს პატარა გორაკის გრეხილი, რომლის გასწვრივ მტრის სიმაგრეებია და საიდან ხშირ-ხშირად გამოჩნდება ადამიანის თავები, ცხენოსნები, რომელნიც ჩვენს თხრილებს ათვალიერებენ, თოფებიდან და ტყვიისმფრქვევლებიდან გვესვრიან...

— „შენ ეი, ამხანაგო, თავს გაუფრთხილდი; ნუ დგეხარ მაღლა, თორემ ჭამის მადას დაგიკარგავენ". მომმართავს ერთი გვარდიელი ხუმრობით, რომელიც სახლიდან წამოღებულ შაშხსა და პურს შეექცევა.

— „შენ კი რა იქნა, ნესტორ, რომ რაც გათენდა ჯერ პირი არ მოგისველებია?!" მიმართავს მას მეორე.

— „იმიტომ, ჩემო ძმაო, რომ თუ თათარმა დღეს ტყვია მომაწვდა, არ ვიდარდებ: ქე მაინც მაძღარი კუჭით მომიხდება სიკვდილი". ჩვეულებრივი კილოთი მიუგებს ის და სავსებით დამშვიდებული განაგრძობს ჭამას.

ჩვენი გუნდის უფროსი ბათალიონის უფროსის მიერ გაწვეული აჩქარებული ბრუნდება და მოგვმართავს:—„მოემზადეთ, ამხანაგებო, შეტევის დაწყებას. მაშ, მოემზადეთ!" „ვაშაა! გაუმარჯოს!" გაისმა პასუხათ. ყველანი შეტაკებისათვის საჭირო წინასწარ სამზადისში ვართ: ტყვიებს ვიმატებთ, თოფებს ვათვალიერებთ, ხიშტებს ვამაგრებთ. გუნდის უფროსი ყურადღებისკენ მოგვიწოდებს და დაწვრილებით გვიხსნის დღეისთვის განზრახულ ბრძოლის ამოცანას. როგორც ირკვევა, უნდა იქნას მტრის პოზიციები აღებული, რომ დაუახლოვდეთ წითელ ხიდს. გვარიგებს, გვ ხსენებს შეტევის სამხედრო კანონებს და მოგვიწოდებს წესრიგისაკენ. ჩვენი მარცხენა ფრთის შესავსებათ გვემატება სხვა ბათალიონის ერთი გუნდი. ყველანი თავ-თავის ადგილს ვიკავებთ, ვუცდით ბრძანებას. მტერმა სროლა მიაწყნარა. ალბათ სურს გამოარკვიოს ჩვენი ამოძრავების მიზეზი... „ადექით", გაისმა გუნდის უფროსის ბრძანება—„მტრის შარისკენ ნაბიჯით წა!" ყველანი ვდგებით და მწყობრათ მივდივართ... ვხედავ, თუ როგორ გაფაციცებით გვათვალიერებენ მტრის თხრილებიდან. ალბათ, ფიქრობენ, რომ ჩვენ ხუმრობას არ ვაპირებთ. გავიარეთ კარგა მანძილი, დაუახლოვდით მტერს, რომელმაც უეცრად აგვიტეხა საშინელი სროლა; ტყვიები ზუზუნით მოფრინავენ. „დაწექით, დროებით გამაგრდით!" ისმის ბრძანება. ჩემს თავთან ლაფათქ ით ამოვთხარე ცოტათი მიწა. გაისმა ხელ-ახალი ბრძანება: „პირველი ოც-ეული—ერიზზე ურაა! ურააა!" დავიძრით ჩვენ და რამოდენიმე წუთით მტრის თხრილები დავიკავეთ. მტერი გარბის. იწყება ნერვიული მდგომარეობა—ისეთი წუთები, როდესაც მეომარს ავიწყდება ყველაფერი, გარდა იმ ფიქრისა, რომ მტერი უნდა გაანადგურო, მოწინააღმდეგე უნდა მოსპო. ასეთს წუთებში ადამიანის ინსტიქტს ბრძანებლობენ ზოოლოგიური მოტივები. შებრალება, კაცთ-მოყვარეობა და სხვა მორალური ვალდებულებანი მისი წიაღიდან ძირიან-ფესვიანად იშლება, და ვაი მას, ვინც ასეთს დროს დააპირებს ასეთი სულიერი განწყობილების მატარებელ შეიარაღებულ ძალას წინააღმდეგობა გაუწიოს. და მართლაც, მტერმა იგრძნო ის საშინელება, რომელიც მას ჩვენი შეტევით მოელოდა, ზურგი გვაქცია და შარაგზით წითელი ხიდის მიმართულებით გაეშურა. არც ჩვენ ვაყოვნებთ... ახლად აღებული მაღლობი ადგილებიდან ვხედავ, თუ როგორ იხევს მტერი: მათი „ობოზი", ცხენოსანთა რაზმი, ქვეითა ჯარი, ერთმანეთში არეული უგზოუკვლოდ გარბიან. გუნდის უფროსის ბრძანებით აუტეხეთ ხშირი ცეცხლი. აკაკანდენ ჩვენი ტყვიის მფრქვევლები. ვახშირებთ თოფების სროლას.

მდ. ხრამს გაღმა წითელი ხიდის გასწვრივ მდებარე ბაბა-კიარის მთაზე გამაგრებული მტრის მთავარი ძალა არტილერიის და ტყვიისმფრქვევლებისაგან ჯოჯოხეთურ ცეცხლს ახთებს. სურს ჩვენი შეტევა გააჩეროს, ჩვენს მწყობრ რაზმებში დეზორგანიზაცია შეიტანოს. მაგრამ ამაოთ, ერთი თვალის დახამხამება და ჩვენ ერთ გორაკის გრეხილიდან მეორეზე ბრძოლით გადავდივართ. მტერი ცეცხლს უხშირებს, ჩვენს თავზე რახ-რახით სკდება მტრის ზარბაზნებისგან გამონასროლილი ყუმბარები, ყურებს გვიყრუებს ტყვიების საშინელი წივილი, სროლისგან დაყენებული კორიანტელი, „ურას" და „ვაგოუტუპ ბოშეის" ყიჟინა ერთმანეთში ირევა. ბრძოლა ცხოველდება და ეს-ეს არის უნდა გადაწყდეს მისი ბედი, უნდა გამოირკვეს, თუ რა მხრით გადასწევს სასწორს გამარჯვების ღმერთი. ჩვენს ზარბაზნებს ჯერ მოქმედება არ დაუწყვიათ. თითქმის შეტევა უნდა დამთავრდეს, დღიური ბრძოლის ამოცანა სრულდება და ჩვენი ზარბაზნები სდუმს. ყველანი უკმაყოფილოთ გამოიყურება. ჩვენი არტილერიის ასეთი მოქმედებისთვის ვერავის მიუცია ახსნა განმარტება. არც კავალერია სჩანს, რომელსაც ეხლა აქვს სამოქმედოთ საუცხოვო ასპარეზი.

დაგვრჩა ასაღები კიდევ ერთი გორაკის გრეხილი და შეტევის ამოცანაც დასრულებულათ ჩაითვლება. ჩემს გვერდით უშიშრად სდგას გუნდის უფროსი რომელიც გვამხნევებს და მოგვიწოდებს წინ, მაგრამ დაღლილობამ, პაპანაქებამ, საშინელმა წყურვილმა თავისი გაიტანა. ყველას ოფლი წურწურით ჩამოგვდის, შეტევითი ბრძოლის ქარცეცხლის ზეგავლენით ყველას საშინელი თვალები უბრიალებს. „ოჰ, ეხლა წყალი გვასვა ერთი, წყალი!"—ისმის აქა იქ ვედრების კილოთი წუწუნი.

ტყვიის მფრქვეველთა რაზმის უფროსი გაფიცხებული „მოათრევს თავის „მაქსიმს". იჭერს მოხერხებულ ადგილს და გულდასმით იღებს მიზანს; ვეხმარებით ტყვიების „ლენტების" მიწოდებაში, რომელსაც ის ოსტატურად ერთი მეორეზე სცლის, ამით უკანასკნელი ლახვარი ჩასცა მტერს.

ამ დროს ჩვენს უკან, ჩვენმა არტილერიამ, რომელსაც მოხერხებული პოზიციები დაეკავებია, აანთო გრიგალისებური ცეცხლი „—ოჰო, ჰო, ჰო! ეხლა კი მიირთმევს ფეშქაშათ აზერბეიჯანი „კონსერვებს".—ისმის ერთი ენა წყლიანი გვარდიელის ხუმრობა.

დროებით ჩვენსა და მოწინააღმდეგეს არტილერიებს ვუთმობთ ბურთისა და მოედანს. მტრის არტილერია ჩვენზე ხელს

ილებს და უშენს ზარბაზნებს, მაგრამ ეს მათ ძვირათ უჯდებათ. განუწყვეტლივ ისმის ჩვენი არტილერიის საზარი რახრახი; მან ჩააჩუმა მტრის წინააღმდეგობა. ამით ჩვენ ვხელთეფთ და „ურას“ ძახილით უკანასკნელ გორაკს ვკავებთ. ამით დასრულებულათ ითვლება შეტევის ამოცანა და ვთხრით თავსაფარ თხრილებს. რამოდენიმე წუთით ბრძოლა სწყდება, სამარისებური სიჩუმე ვარდება. მაგრამ თვითველი გრძნობს, რომ ეს სიჩუმე არის სიჩუმე ახალი: გრიგალის და ქარცეცხლის წინაშე.

და მართლაც, გონზე მოსული მტერი კონტრ-იერიშზე გადმოდის, მისი ოცეულები მწყობრად და მარდათ გვიახლოვდება, ბათალიონის და გუნდის უფროსები ათვალიერებენ მათ. მიხვდნენ მათი მოძრაობის გეგმა და ისმის ბრძანება; „აბა, ამხანაგებო, მოემზადეთ! კონა, მი!“ ყველანი ბრძანებას ვასრულებთ და კონტრ-იერიშზე გადმოსულ მტერს ვუშიშხნებთ. „გუნდოო, თოფ!!“. გუნდის უფროსის მკვირცხლ და გატაცებულ ბრძანებას, რომელსაც მთელი დღის ყვირილით ხმა ჩახლეჩია, სცვლის ჩვენი მწყობრი და ერთსულოვანი „ზალპი“: ბრძანებები და ჩვენი თოფების გრიალი კარგა ხანს გრძელდება. გაბოროტებული მტერიც ამის საპასუხოთ ამუშავებს თავის ყველა ზარბაზნებს და პირდაპირ ცეცხლის კოცონს ანთებს ჩვენს თხრილებზე.

რახ, რახ, რახ,—თავს დაჰხარხარებს სიკვდილის და განადგურების შავი აჩრდილი. ოსტატურად და მოხერხებულათ ისვრიან ზარბაზნებს. „ვაი ნენაა! დოოპილეს“!.. ისმის გვერდით ერთ-ერთი სასიკვდილოთ დაჭრილი გვარდიელის საზარელი ხმა. საშინელი და ჟრუანტელის მგვრელი სურათი იშლება: მრავალ დაჭრილ დასახიჩრებულთა კვნესა, უიმედობა და საერთო სასოწარკვეთილება, ზარბაზნების რახ-რახი, ტყვიების სისინი—უმაღლეს წერტილს აღწევს...

ყველანი სულ განაბული ველით ჩვენს ხვედრს. ყველანი დარწმუნებულნი ვართ, რომ ერთ ერთი გამსკდარი ყუმბარის ნასხლეტის მსხვერპლი გავხდებით... და ვუცდით ამ წუთს. რა საშინელი და საზარი, კალმით აუწერელია ეს ცდა!!.. მაგრამ ამის ზეგავლენით ჩვენ არ შეგვპარია იოტის ოდენა თავის დახსნაზე ოცნება და ამ ჯოჯოხეთური ადგილიდან თავის დახწევაზე ფიქრი... ყველანი უიმედოთ ველით სიკვდილს...

ამ კრიტიკულ მომენტში გვევლინება მაღლა ჰაერში ჩვენი ჰაეროპლანი, რომლის დანახვა საერთო აღტაცებას იწვევს. გამწარებულნი ქუდებით ვესალმებით მას. გუნდის უფროსი განსაკუთრებული ნიშნებით უჩვენებს მას მტრის პოზიციებს, საიდანაც სროლა მიაწყნარეს. ჰაეროპლანი მიუახლოვდა მტრის პოზიციებს და რამოდენიმე ყუმბარა ჩაგდო.

ამასობაში კიდეც ღამდება. მზე განრისხებული ადამიანების ცოდვა ვაებით, კარგა ხანია ჩაესვენა... ბნელდება... სროლაც სავსებით მიწყნარდა... ეხლა მოგვეცა საშუალება სიბნელით გვესარგებლნა და თხრილებში თავისუფალ დამსხდართ გვებაასნათ დღისით წარმოებულ შეტევის სხვადასხვა შემთხვევებზე...

ღამის 10—11 საათზე ჩვენი ბათალიონის პირველ და მეორე გუნდებს სცვლის სხვა ბათალიონი, რომელსაც ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია.

მთელი დღე უსმელ უჭმელი, დაღლილ-დაქანცულნი მივდივართ უკან სოფ. მულანლოში, რათა გათენებამდე დავისვენოთ, აღვადგინოთ დაკარგული ენერგია, რომ მეორე დღეს უფრო ფხიზლათ და მწარე გამოცდილებით აღჭურვილებმა მეტი მრისხანებით ვეკვეთოთ მტერს!..

გვარდიელი კაკო.

პროფესიონალურ კავშირებში

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატში.

სიძვირის გარშემო.

9 დეკემბერს შესდგა თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის სხდომა. პირველათ სეკრეტარიატმა მოისმინა მბეჭდავთა კავშირის მოხსენება სიძვირის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. კავშირის გამგეობა ფიქრობს, რომ სიძვირის წინააღმდეგ საბრძოლველათ ერთი აუცილებელ ზომათაგანია პირველ საჭიროების საგნებზე ნიხრის შემოღება, ვინაიდან ბაზარზე არსებული ფასების გამო მუშები მოკლებული არიან ყოველგვარ საშვალებას შეიძინონ პირველ საჭიროების საგნები. ხორცზე და სხვა საგნებზე არსებული ნიხრი ვერ ტარდება ცხოვრებაში სასურსათო განყოფილებისა და მილიციის აგენტების უყურადღებობის გამო.

განიხილა რა ეს საკითხი, სეკრეტარიატმა დაადგინა: 1) შუამდგომლობა აღძრას ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა დაწესებულ იქნას ნიხრი ყველზე, ძეხვზე და სხვა მუშებისათვის საჭირო საგნებზე. 2) გაძლიერებულ იქნას ბაზარზე აგენტები პროფ. კავშირთა საბჭოსაგან, რომელნიც სასტიკათ ადევნებენ თვალყურს, რომ ნიხრი არ იქნას დარღვეული ბაზარზე, და აგრეთვე, რომ სასურსათო განყოფილების აგენტებმა წმინდათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. 3) გაიგზავნოს პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი ქალაქის გამგეობაში, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ნიხრის დაწესებაში სათათბირო ხმით.

შრომის ბირჟის შემოღების შესახებ.

სეკრეტარიატმა დაადგინა დახმარება აღმოუჩინოს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს შრომის ბირჟის ცხოვრებაში გატარების საქმეში, ამასთანავე მიღებულ იქნას ზომები იმის წინააღმდეგ, რომ არ დაიჩაგროს მცხოვრებთა მშრომელი ნაწილი, განსაკუთრებით უმუშევრათ დარჩენილნი. შრომის ბირჟის ცხოვრებაში გამტარებელ კომისიაში სეკრეტარიატის წარმომადგენლათ დაინიშნოს ამხ. ჩხარტიშვილი.

ახალი ტარიფის ცხოვრებაში გატარების ვადის შესახებ.

ელექტრონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირმა შუამდგომლობა აღძრა სეკრეტარიატში სატარიფო პალატის დადგენილების შეცვლის შესახებ, რომლის ძალით მუშა მოსამსახურენი კარგავენ უფლებას მიიღონ სატარიფო პალატის მიერ დაწესებული მომატება, თუ მათ ორი თვის განმავლობაში სათანადო შუამდგომლობა არ აღძრეს. კავშირი უთითებს, რომ ბევრ მუშებმა სხვა და სხვა მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ მიიღეს სამუშაო ხელფასის ახალი მომატება; იყო შემთხვევები როცა მუშებმა მაშინ გაიგეს მომატების შესახებ, როცა ასეთის მიღების უფლება დაეკარგათ.

სეკრეტარიატმა დაადგინა: ეთხოვოს სატარიფო პალატას შესცვალოს აღნიშნული დადგენილება.

ს. მაისურაძის სახელობის ბიბლიოთეკა სამკითხველო.

სეკრეტარიატმა მოისმინა ცნობა, რომ ს. მაისურაძის სახელობის სამკითხველო თანდათან ფართოვდება. დადგენილ იქნა ფულით დახმარება აღმოეჩინოს ხსენებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მიმდინარე საკითხების დასაფარავათ. ამასთანავე წინადადება მიეცეს სამკითხველოს გამგეობას შეიმუშაოს გეგმა ბიბლიოთეკის გაფართოვებისა.

დამტკიცებულ იქნა გამგეობის ორი წევრის დამატებითი არჩევნები.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 8 დეკემბერს მუშათა ცენტრალურ აუდიტორიის შენობაში შესდგა საქართველოს სოც. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც ეკონომიური მდგომარეობისა და მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. ხომერიკმა. მომხსენებელი მოკლეთ შეეხო მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობას, და მიუთითა იმაზე, რომ დღევანდელ პირობებში მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა ხდებოდეს არა ბონების ზედმეტი გამოცემით და ჯამაგირების მომატებით, არამედ—მუშათა მასისათვის პირველ საჭიროების საგნების თავის დროზე მიწოდებით. ამიტომ სახელმწიფომ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ იაფათ იქნას შეძენილი მუშებისათვის—პირველი საჭიროების საგნები. ეს არის ერთად ერთი საშვალება, რომლითაც შესაძლოა თავი დავაღწიოთ იმ მძიმე და აუტანელ მდგომარეობას, რომელშიც ჩვენ ამ ჟამად ვიმყოფებით და ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება აქეთკენ უნდა იქნას მიქცეული.

სომხეთში მომხდარ გადატრიალების შესახებ მომხსენებელმა მიუთითა იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვიეს დაშნაკელების პოზიციის ასე მოულოდნელად შეცვლა და შეეხო იმ ზომებს, რომლებიც უნდა მიიღოს ჩვენმა დემოკრატიამ დღევანდელ პირობებში. მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები, გაიმართა კამათიც, ბოლოს მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

X.

მუშათა შორის

ტყიბულის მაღაროები. დღეს ჩვენი რესპუბლიკის ამ ეკონომიურ-ფინანსიურ კრიზისის დროს ყოველი მოქალაქე, რომელიც დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის მომავალით, ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ კრიზისის განელებას და აცდენოს სახელმწიფოს ის ზედმეტი ხარჯები, რომელიც გამოწვეული არ არის საქმის ინტერესით. მით უმეტეს ამის მოვალეობა აწევს ამა თუ იმ უწყებას, ამა თუ იმ წარმოების მეთაურს. მაგრამ ხშირათ არ ხდება და ამის ერთ მაგალითს გვაძლევს ტყიბულის მაღაროები. საქმე შემდეგშია: ტყიბულის მაღაროების ადმინისტრაციას (ინჟინერთა კოლეგიას) მგონი ამ ერთი წლის წინათ მთავრობამ თუ გზათა დეპარტამენტმა (რომლის ხელშიაც არის წარმოება) გადაუწყვიტა საფუთო გადასახადი. ეს გამოწვეული იყო იმ მოსაზრებით, რომ მაღაროების ადმინისტრაცია დაინტერესებულიყო და მეტი ნახშირი მიეცა მთავრობისთვის. ამის საწინააღმდეგო, რასაკვირველია, არაფერი გვაქვს. მხოლოდ მინდა მკითხველი საზოგადოების ყურადღება ერთ გარემოებას მივაქციო. მოულოდნელათ ამ საფუთო „პრემიის“ სიაში თავი ამოყო ამ რამოდენიმე თვის წინეთ ხუთი-ექვსი პიროვნების მაგიერ 100-მდე კაცმა. ამ სიაში მოქცეულია მთელი ე. წ. „ტეხნიკური პერსონალი“. ვისი განკარგულებით მოხდა, ეს ჩვენ არ ვიცით, არც არის ჩვენთვის საინტერესო, მხოლოდ ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ფაქტი და რამდენათ სამართლიანია ასეთი მოქცევა. უნდა ვიფიქროთ, რომ მოსაზრება იგივეა, რაც ადმინისტრაციაზე იყო. ე. ი. ნახშირის მეტი რაოდენობის დამუშავება. მაგრამ ახლა გვინდა ვიკითხოთ, რამდენათ შეუძლია ამ სიაში შეტანილთა მეტ ნაწილს ეს შეასრულოს ან და თავის სპეციალობა აძლევს თუ არა მათ საშუალებას მეტი რაოდენობის ნახშირი დაამზადონ. მაგ. ავიღოთ ელექტრონის სადგურის მექანიკი, კაზეგარი, სადგურის გამგე, საწყობზე მომუშავე მუშა, აგენტები, რომლებიც მასალას აწვდიან მაღაროებს და სხვა. ამათ ხომ არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ ნახშირის მოჭრასთან, და ტვირთვასთან თუ გაგზავნასთან ან და რა მოსაზრებით ეძლევათ ამ სიაში მოქცეულთა უპირატესობას პრემია? თუ კი ასეთი „პრემიები“ აუცილებელი იყო, ის უნდა მიეცემოდა მართლაც იმ მუშებს, რომლებზედაც დამოკიდებულია ნახშირის მოჭრა, გაგზავნა და სხვა..

ეს უფრო სამართლიანი იქნებოდა ვიდრე მათზე მიცემა, ვინც ამას „სხვათა შორის“ თვლის. და თუ იმას იტყვიან, რომ მათ წარმოებასთან აქვთ დამოკიდებულება, მაშინ ჩვენ ვიტყვით, რომ ყველა მაღაროებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეს აქვს ასეთი დამოკიდებულება მაღაროებთან და მაშინ ყველას უნდა მიიცეს, თუ ის სამართლიანი იქნება. ამასთანავე საინტერესოა გაგება, რომელი საკანონმდებლო ორგანოდან არის ეს დამტკიცებული ან და აქვს ამ „პრემიებს“ სანქცია მიღებული? მაშინ, როდესაც სახელმწიფო კონტროლის ადგილობრივი წარმომადგენელი ამ სიას არ ამტკიცებს, რადგან მას კანონმდებლობითი ხასიათი არ აქვს მიღებული, ფულს მაინც აძლევს მათ ადგილობრივი ადმინისტრაცია თავის პასუხისმგებლობით. რაც მე მგონია დაუშვებელია—გარდა იმისა, რომ ამოდენი თანხა იხარჯება მათზე უმიზნოთ—ერთნაირ უსისტემობასაც ქმნის მაღაროებში ხელფასის უთანასწორობაზე;—მაგ. ერთიდაიგივე დარგის მუშა დიდათ განსხვავდება ხელფასის მხრით ერთი მეორისაგან. მაშინ, როდესაც ერთი იღებს 5,000 თუ 6,000 მან. მეორე იღებს 10,000 მან. და მეტ, რაც ერთნაირ პირობებში არ აყენებს მაღაროებში მომუშავეებს.

აღვნიშნავთ რა ამას და გამოვდივართ რა იმ მოსაზრებიდან, რომ ეს თანხა, რომელიც შეადგენს ყოველთვიურათ რამოდენიმე ასი-ათას მანეთს, იხარჯება უმიზნოთ—მოვითხოვთ, ვისგანაც ჯერ არს, ყურადღება მიაქციონ, რომ ყოველ დახარჯულ კაპეიკს ჰქონდეს თავისი ადგილი და დანიშნულება.

„ზიგი“.

პროვინცია

კიწია და კურზუს თემები ახალსენაკიდან ჩრდილოეთისკენ დაშორებულია 35—40 ვერსის მანძილით. ფაბრიკულ ნაწარმოებს ასეთ მივარდნილ კუთხეებს ვერ აწვდის სენაკის რაიონის კოოპერატივთა კავშირი და სამაზრო ერობა, ერთად ერთი საშუალება არის შინამრეწველობა. ხსენებულ თემებში მისდევენ მეგრულ შალების ქსოვას. მატყლის შეძენა ისე გაჭირდა, რომ წარმოუდგენელია. ოქტომბრის 8 და 14-ში კურზუს თემის რწმუნებულებმა თ. დ. ბერულავამ და ალ. ესართიამ ხალხში მოგროვილი მატყლის საყიდლათ 150 ათასი მანეთი და კიწიის თემის რწმუნებულებმა ილ. ხუხუამ და კოსტა ნადირაძემ კიდევ 19 ოქტომბერს 150 ათასი მანეთი შეიტანეს სამაზრო ერობის სალაროში. ერობის გამგეობა დაპირდა თემის წარმომადგენლებს 10 დღეში თფილისიდან მატყლის ჩამოტანას 10% ხარჯის დამატებით, რასაც მომარაგების სამინისტროც აცხადებდა გაზ. „ერთობა“-ში. როგორც იყო 12 ნოემბერს, ერობამ მიიღო ასიოდე ფუთი მატყლი, ისიც ძალზე სველი და მეორე ხარისხოვანი. ფასი რწმუნებულთ კი 8 ათასი მოსთხოვეს თითო ფუთში, ფული ხალხისაგან აკრეფილი იყო თანახმად სამინისტროს ოფიციალური განცხადებისა 4500 მ. პირ. ხარისხოვანი ახალ გორის მატყლი და არა უმეტეს 10% გზის ხარჯი ფუთზე: ერობის გამგეობის ასეთ მოქმედებამ გამოიწვია ის, რომ თემების რწმუნებულებმა 4 დღის სენაკში დავიდარაბის შემდეგ გამგეობას ფული უკანვე გამოართვეს და დაუდგნენ თფილისისკენ, მაგრამ იქაც ბედი იწყევლეს, რადგან დროებით შეჩერებული ყოფილა მატყლის გაყიდვა, ვიდრე ახალი შეთანხმება არ მოხდება მემატყლეთა ამხანაგობასთან და მომარაგების სამინისტროს შორის მატყლის გადაფასების შესახებ. ერთი კვირა თფილისში ცხოვრება, ხუთ-ხუთი დღე სენაკშიც, ამ სიძვირეში ორორ კაცს თემის რწმუნებულთა, რამოდენიმე ათი ათასი მანეთი დაუჯდათ და დალონებულ გულ დაწყვეტილნი შინისკენ წავიდნენ. ვინც სოფელთან დაახლოვებულია, ის ადვილად წარმოიდგენს, თუ რა შედეგს გამოიწვევს ასეთი გარემოება. სოფელი მატყლს მოელოდა და რწმუნებულები შინ დაბრუნდნენ, ერობის გამგეობის დადებული ფასები სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ მატყლის ფასს არ ეთანხმება, ამავე დროს თფილისში ჩვენი აგენტები პირდებიან თემის რწმუნებულთ 8 ათას მანეთად მატყლის ვაგონში ან ფუთში გაგზავნას, ოღონდ ანგარიშში 4500 მანეთის მეტს ვერ დაგიწერთო, ასეთი აგენტები თფილისში ვაგზლის ქუჩაზე ცხოვრობენ. მათი მოქმედება მთავრობის პრესტიჟს სცემს და რაღაც მახინაციებით ცეკავშირის საწყობიდან თუ კერძო საწყობიდან მატყლი იგზავნება ზოგიერთ სადგურებში. სადგურ აბაშა და ახალსენაკში გაგზავნაზე კატეგორიული უარი განაცხადეს, თურმე იქ კაცი არ გვყავსო—ასე ეუბნება ერთ აგენტს. საჭიროა ყოველივე ამას ყურადღება მიექცეს.

სენაკის სამაზრო ერობის ხმოსანი ვახო გადილია.

წერილი რედ. მიმართ

ნება გვიბოძეთ პასუხი გავცეთ იმას, ვინც 9 დეკემბრის „ერთობის“ № 281 ახალ ამბებში მოათავსა ცნობა, რომ ვითომ რკინის გზების სასურსათო კომიტეტს, რომლის საწყობები აბარია საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელს, ერთის თვის წინად აღმოუჩენია ფქვილის ქურდობა, რის გამო მას მიეღოს სათანადო ზომები და დაეპატიმრებინოს საწყობის გამგე მდივანი და სხვა მეარტელეები. არტელის გამგეობა საჭიროდ სთვლის გაუწყოთ, რომ ხსენებული ცნობა სიმართლეს მოკლებულია, რომ ამისთანა ფაქტს საწყობში ადგილი არა ჰქონია და იქ ფქვილი არ დაკარგულა. ამასთანა რამ რომ მომხდარიყო, კომიტეტი, ჩვენ შორის დადებულ ხელშეკრულების ძალით, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებდა არტელის გამგეობას. ადგილი ჰქონდა მხოლოდ ერთს მაგალითს, როდესაც კომიტეტის ნებადაურთველად საწყობის გამგეს მდივანს ცარიელი ტომრები გაუტანებია საწყობიდან, რისთვისაც ის არტელიდან იქნა გადაყენებული და პასუხისგებაში მიცემული.

არტელის გამგეობა თავის ვალდებულებად სთვლის ამასთანავე განაცხადოს, რომ არტელი, რომელშიაც სამასამდე პასუხისმგებელი წევრი ითვლება, და რომელიც თავის დანიშნულებას პირნათლად და პატიოსნად ასრულებს, ერთი და ორი უღირსი წევრის ბოროტმოქმედებისათვის ცუდად არ უნდა იხსენიებოდეს, როგორც ეს ზემოხსენებულ ცნობაშია მოყვანილი.

„სახალხო გაზეთის“, „მიწის“ და „საქართველოს“ რედაქციებს უმორჩილესად ვთხოვთ ეს წერილი მოათავსონ თავის გაზეთებში, რადგანაც ზემოხსენებული ცნობა „ერთობიდან“ მათ ჰქონდათ გადაბეჭდილი.

არტელის გამგეობა.

11 დეკემბერი 1920 წ.

რედაქტორი [illegible] ნათაძე

განცხადებანი

ქ. რ. პართახოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სარამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (23—დეკ.)

ექიმი

ა. ს. პადაჭკორია

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილ 12—2 ს. საღამოს 4—6 ს. ოლღას ქუჩა № 35. (18—დეკ.)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება [illegible] ახალი-ბებუთოვის ქ. № 3 სახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიიღება დილით 10—1 ნახ. ს საღ. 5—7 საათამდე. 13 დეკ.

სპეციალისტი მასწავლებლები

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

კბილის ექიმი.

ნიკოლოზ თეიმურაზის ძე

ხორავა

იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20. (5 იან.)

ექიმი

ნ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს [illegible] 4—6 საათამდე [illegible] ქ. № 27, [illegible]

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46
12 იანვ.

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 16, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

ქალი ექიმი

მარიამ ლუკას ასული

თოფურიძე პანიევი

იღებს საბებიო და ქალის სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათ. ველიამინოვის ქ. № 10, ტელეფ. 12—66. (2 იანვ.)

კერძო სამკურნალო

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილისა

შეშხაპუნება „606“ და „914“.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დეკ.)

ოთხი კლასის მოწმობაზე

მოსამზადებელ ჯგუფს ვადგენ

და ვამზადებ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან). 9—12 ს. 4—6. მაჩაიძის ბინა. (3931 6—5)

ექიმი

ქ. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული სიფილისით (წამ. „606“ და „914“ ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის [illegible] ზემელის აფთიაქთან ახლო. ტელეფონი 18—95 7—იანვ.

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ ბედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 28 ტელეფ. 7—91 (1—იანვ.)

ექიმი **შ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი [illegible] (შეშხაპუნება [illegible]) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4 [illegible] 7 იანვ.

ქირურგიული და ქალთა სნეულების

საავათმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ბოკერიასი

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, [illegible] „აპოლოს“ მახლობლად ტელეფ № 5—97 დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—დეკ.)

ექიმი

რეზო მაჩაბელი

კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სისტემატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დილ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი

ი. ა. ტერ-აპაკუმოვი

გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ № 23. ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606“ და 914“ შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—6 საათ. (13 დეკ.)

დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—პლევრი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ.

კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ექიმი

ი. ვ. ხანდამოვი

სპეციალურად სიფილისი („914“ და „606“ შეშხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდო-სასქესო ავათმყოფობანი ავათმყოფების მიღება დღის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი). (1 იანვ.)

კახეთის რკინის გზის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 28 დეკემბერს, 12 საათზე, გზის სამმართველოში (ქ. თფილისი, ელისაბედის ქუჩა № 73)

საიჯარო ვაჭრობით

გაიცემა ბუფეტები სადგურ იორის, საგარეჯოს და გურჯაანისა 1921 წლის 1 იანვრიდან (წლის ვადით, ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობაში მან უნდა შემოიტანოს გზის სამმართველოში ან გამოგზავნოს ფოსტით განცხადება დაბეჭდილ პაკეტში წარწერით: „კახეთის რკინის გზის სამმართველოს კანცელარიაში (ელისაბედის ქუჩა № 73) ბუფეტების იჯარით გაცემის შესახებ“. განცხადებაზე უნდა ეკრას 4 მანეთის საგერბო მარკები, აღნიშნული იქმნეს გვარი, სახელი, მამის სახელი, რაოდენობა თანხისა რომელსაც იძლევა იჯარათ მთხოვნელი და აგრეთვე დართულ იქნას ბარათი გზის სამმართველოს ან სადგურის კასაში წინასწარი, საწინდრის შეტანისა სად. იორის ბუფეტზე 3000 მან. ხოლო საგარეჯოს და გურჯაანის ბუფეტებზე 5000 მან. განცხადება უსაწინდროდ არ განიხილება, ხოლო ვისაც პირობები მიუღებელი იქნება მათ საწინდარი საჩქაროდ დაუბრუნდებათ. განცხადებები მიიღება 28 დეკემბრის, დილის 11 საათამდე. (ნ. 3—1)

საქართველოს სახაზინო რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 20 დეკემბერს დილის 12 საათ. იგი იწვევს

კონკურენციას

შემდეგ სამუშაოებზე: ვაგონების დატვირთვა და გადმოტვირთვა სხვადასხვა მასალებით და სათბობი მასალით (ქვანახშირი და შეშა) სათბობ მასალის დარიგება საწყობიდან მოსამსახურეთა სახაზინო ბინაზე. დატვირთვა ორთქმავლების ქვანახშირით და აგრეთვე სხვადასხვა სამუშაოები სამასალო და სათბობ მასალის შემდეგ საწყობებში: ბათომი, სამტრედია, ფოთი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, ხაშური, ბორჯომი, თფილისი, სანაინი და დროებითი საწყობები, ვადა სამუშაოებისა ამა 1 იანვრიდან 1 ივლისამდე 1921 წ. განცხადებები საქართველოს სახ. რკ. გზ. კასის კვიტანციის თანდართვით ზალოგის შეტანის შესახებ 5000 მან. უნდა შემოტანილ ან გამოგზავნილი იქნეს თითეულ საწყობზე ცალკე დახურულ კონვერტში შემდეგი მისამართით: ქალ. თფილისი, საქართველოს სახაზინო რკ. გზების სამმართველო, სამასალო სამსახურის უფროსს. დაწვრილებითი ცნობების ან გამოთხოვა ზემოაღნიშნულ სამუშაოების შესახებ შეიძლება სამასალო ნაწილის უფროსისაგან და აგრეთვე საწყობების ზედამხედველებისაგან ადგილობრივ 9 საათიდან 3 საათამდე გარდა უქმე დღეებისა. (ნ. 3—2)

გამოვიდა გასასყიდათ

დიაგრამები

მათი მნიშვნელობა საერობო სკოლების და სტატისტიკოსებისათვის

ვლ. ტკაჩოვ ახობაძისა,

ფასი 100 მან.

უმთავრესი საწყობი ეროკავშირში ჟურ. „ერობის“ ბინაზე (რუსთაველის პრ. № 24.) წიგნი იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის გამავრც. საზ. და განათლების წიგნის მაღაზიებში. (ნ. 5—5)

საკუთარი სტამბა ერთობის ქუჩა № 4